საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცუდილებით და ჭირებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი-სამშაბათი, 28-29 დეკემბერი. 2020 წ. №190-191 (9116-9117) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

შესვლა – არშესვლა, საკითხავი აი ეს არის!

„რომც ჩაუდგნენ ეს ოპოზიციონერები ქუჩაში გამოსულ ხალხს სათავეში, ამ მშიერ ხალხს რით აპურებენ?!“

4

ჩვენი კავშირები სამომავლოდ უზრუნველყოფს ჩვენი ერების კეთილდღეობასა და გაძლიერებას

ილჰამ ალიევმა გიორგი გახარიას პრემიერ-მინისტრის პოსტზე ხელახლა დანიშვნა მიულოცა.

„გულითადად გილოცავთ პრემიერ-მინისტრის პოსტზე ხელახლა დანიშვნას. დღეს აზერბაიჯანულ-ქართული ურთიერთობები დინამიურად და ყოველმხრივ ვითარდება ჩვენი ხალხის ნების შესაბამისად, რომლებსაც ისტორიულად ძლიერი მეგობრობის ჯაჭვი და კეთილმეზობლური ურთიერთობები აკავშირებს.

მე მჯერა, რომ ჩვენი კავშირები პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ სფეროებში და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა, რომელიც მუდმივად ვითარდება, სამომავლოდაც უზრუნველყოფს ჩვენი ერების კეთილდღეობას და გააძლიერებს ჩვენს ქვეყნებს შორის სტრატეგიულ პარტნიორობას. გისურვებთ ძლიერ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და წარმატებას თქვენს სამომავლო საპასუხისმგებლო საქმიანობაში“, – ნათქვამია ილჰამ ალიევის მილოცვაში.

მდინარეზე გადასვლისას ცხენებს არ ცვლიან

2

– რატომ თქვა უარი „ქართულმა ოცნებამ“ სამთავრობო კაბინეტის განახლებაზე?

ქართული ღვინის რენესანსი

3

TBILVINO
WINE OF GEORGIA

მსოფლიო და ქართული მეცნიერების უკვდავი სახელი

„ერის მნიშვნელობა თანამედროვე მსოფლიოში განისაზღვრება მისი წვლილით კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში...

საქართველოში, ფიზიკოსებმა უნდა განვავითაროთ ფუნდამენტური გამოკვლევები და ერთდროულად ხელი შევუწყოთ მეცნიერების სხვა დარგების, ასევე ტექნიკის და სახალხო მეურნეობის განვითარებას“.

ელეფთერ ანდრონიკაშვილი

110 წელი შესრულდა გამოჩენილი მეცნიერის, საქართველოში თანამედროვე ექსპერიმენტული ფიზიკის ფუძემდებლის, აკადემიკოს ელეფთერ ანდრონიკაშვილის დაბადებიდან. ელეფთერ ანდრონიკაშვილი მიეკუთვნება მეცნიერთა იმ რჩეულ თაობას, რომელსაც წილად ხვდა თანამედროვე ქართული მეცნიერების სათავეებთან მდგარიყო. ივანე ჯავახიშვილის, ნიკო მუსხელიშვილის, ივანე ბერიტაშვილის, დიმიტრი უზნაძის დარად, მან არა მარტო შემოიტანა და დააფუძნა საქართველოში მეცნიერების (ფიზიკის) ახალი დარგები, არამედ დაუღალავი ორგანიზაციული მეცადინეობით შექმნა პირობები ამ მიმართულების სრულფასოვანი განვითარებისთვისაც.

ანდრონიკაშვილს შესწევდა უნარი თავის გარშემო შემოეკრიბა და დაერაზმა ნიჭიერი ახალგაზრდები, მიემართა მათი ენერგია მეცნიერების უახლესი გამოწვევების დასაძლევად, იქნებოდა ეს ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკა, კონდენსირებულ გარემოთა ფიზიკა, პლაზმის ფიზიკა თუ ბიოლოგიური სისტემების ფიზიკა. მისი დევიზი იყო „ნუ გეშინია სირთულეების და ეცადე იყო პირველი იმ საქმეში, რომელსაც ხელს ჰკიდებ“. ანდრონიკაშვილი, როგორც მკვლევარი, ექსპერიმენტული ამოცანის გადაჭრისას ყოველთვის მიმართული იყო საკუთარი მეთოდის შემუშავებაზე, რათა საკუთარი გამორჩეული ხედვა ჰქონოდა მოვლენებზე. ის ამ პრინციპებს ახორციელებდა მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საქმიანობაშიც. თუკი თანამედროვე მსოფლიო მეცნიერების რუკაზე ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტს ღირსეული ადგილი უკავია – ეს ინსტიტუტის მეცნიერთა კოლექტივის წარმატებული საქმიანობის გარდა, ანდრონიკაშვილის მიერ მის საფუძველში ჩადებული პრინციპებისა და მიდგომების დამსახურებაცაა.

იხ. 5 გვ.

№ 190-191. ორშაბათი-სამშაბათი, 28-29 დეკემბერი, 2020 წელი.

მდინარეზე გადასვლისას ცხენებს არ ცვლიან

– რატომ თქვა უარი „ქართულმა ოცნებამ“ სამთავრობო კაბინეტის განახლებაზე?

პრემიერ-მინისტრმა მთავრობის კაბინეტი უკვე წარადგინა. შემადგენლობა თითქმის უცვლელია, თუ არ ჩავთვლით, იუსტიციის მინისტრის თანამდებობას, რომელიც ამ ეტაპზე ვაკანტურია. საინტერესოა, რას ეფუძნება გახარიას ეს გადაწყვეტილება, რომ საკანონდებლო ორგანოს სამთავრობო კაბინეტის შემადგენლობა პრაქტიკულად უცვლელად წარუდგინა. ანალიტიკოსების ნაწილი ამ ფაქტს იმით ხსნის, რომ ახალი პირი, რომელიც ამა თუ იმ პოსტს დაიკავებს, გარკვეულწილად გათვითცნობიერებული უნდა იყოს კონკრეტულ საკითხებში, რადგან დღეს არსებული ეპიდემიოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე, მას დრო არ ექნება იმისა, რომ საკითხში გაერკვეს.

მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ამით ხელისუფლება ცდილობს, არ აღიაროს ის შეცდომები, რაც პანდემიის მართვის პერიოდში, არჩევნებამდე, დაუშვა. რატომ თქვა უარი „ქართულმა ოცნებამ“ სამთავრობო კაბინეტის განახლებაზე და საერთოდაც, რისთვის სჭირდება ხელისუფლებას ძველი კაბინეტით სამთავრობო ცვლილებების განხორციელება, ამის შესახებ For.ge ანალიტიკოსებს ესაუბრა.

როგორც **რამაზ საყვარელიძემ** ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, კრიტიკული ვითარების ფონზე, ახალი სამთავრობო კაბინეტს დრო დასჭირდებოდა არსებულ მდგომარეობაში გასარკვევად. შესაბამისად, ხელისულფების ამ გადაწყვეტილებას სწორედ ამით ხსნის.

„გადასასვლელზე ცხენებს არ ცვლიანო, ამ შემთხვევაში მდინარეზე გადასასვლელი იგულისხმება. ალბათ, დაახლოებით ასეთი მოტივი აქვს ხელისუფლებას. ამ კრიტიკულ პერიოდში პრობლემაა ახალი ადამიანი დააყენო, – მოასწრებს თუ არა ის სისტემის გაცნობას საიმისოდ, რომ შედეგიანი იყოს, როგორც მინისტრი.

კარგი ცხოვრების დროს დაახლოებით ექვსი თვე სჭირდება სანამ მინისტრი შევა საქმის კურსში. რომც გავანახევროთ ეს ვადა, მაინც ძალიან დიდი დრო არის ამ პირობებში. პრობლემა ალბათ არის, რომ ამ ორმა კრიზისმა, ფაქტობრივად, გადაფარა მართვის მთელი ველი, ყველა პროფილი, დაწყებული ეკონომიკური ბლოკით, დასრულებული ჯანდაცვით. აღმოჩნდა, რომ განათლებაც კი უმნიშვნელოვანესია ამ პირობებში, როდესაც დისტანციურ სწავლებაზე არიან და ა.შ.

პრაქტიკულად, არ დარჩა არც ერთი მიმართულება, რომელსაც კოვიდი არ შეხებია და რომელზე პასუხისთვისაც საქმეში ჩახედული ადამიანი არ იყოს საჭირო. მგონი ამით არის გამართლებული, თორემ იმის ფონზე, კოვიდის ფაქტორი რომ ამოგვეღო, დარწუმებული ვარ, ბევრი სიახლე იქნებოდა. თუმცა, ეს კრიზისული ფაქტორები უშლის ხელს იმას, რომ ადამიანი შეიცვალოს.

იმის ფონზე, რაც მსოფლიოში ხდება, კრიზისის მართვის ქართული გამოცდილება არ გამოიყურება დრამატულად, თუმცა, მეორე ტალღა უფრო მძიმე აღმოჩნდა და მართვაშიც მეტი შეცდომები გამოავლინა, ვიდრე ეს იყო პირველ ტალღაზე. მკაცრად მიყვებიან ექიმების რეკომენდაციებს. ეკონომიკის ეტაპი ჯერ ისე არ დაწყებულა, რომ მასზე მსჯელობა შეიძლებოდეს“, – განაცხადა რამაზ საყვარელიძემ.

ანალიტიკოს **ნიკა ჩიტაძის** თქმით, ამ ნაბიჯით ხელისუფლებამ საზოგადოებას უთხრა, რომ საპარლამენტო არჩევნებამდე ეპიდვითარებას „ქართული ოცნება“ სწორად მართავდა და შეცდომები არ დაუშვია. მისი განცხადებით, დღეს გაუარესებული ეკონომიკური მდგომარება სწორედ ხელისუფლების შეცდომაა, რასაც მმართველი გუნდი ამ გადაწყვეტილებით არ აღიარებს.

„მოსალოდნელი იყო, რომ მინისტრთა კაბინეტი დარჩებოდა იგივე. ამის პირველი ფაქტორი არის ის, რომ ბიძინა ივანიშვილი ენდობა გიორგი გახარიას და სჭირდება, როგორც, მისი აზრით, ძლიერი ფიგურა და ძლიერი პრემიერ-მინისტრი. თავის დროზე სჭირდებოდა მამუკა ბახტაძისნაირი პრემიერი კრიზისამდე.

დღევანდელ ეტაპზე, კორონავირუსთან დაკავშირებული კრიზისის პირობებში, მას სჭირდება გარახიასნაირი ფიგურა და ამიტომაც არის, რომ ამ შემთხვევაში თვლის, მინისრტრთა კაბინეტი უცვლელი უნდა დარჩეს. მეორე ფაქტორი ის გახლავს, რომ სამთავრობო კაბინეტის არშეცვლით მთავრობა ამტკიცებს, მიუხედავად ქვეყანაში გაუარესებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის და სამსახურის გარეშე დარჩენილი ათეულ ათასობით ადამიანისა, ხელისუფლების მუშაობა არ იყო არაეფექტური. უბრალოდ კორონავირუსია და მთელ მსოფლიოს მოედო, ამ შემთხვევაში კი მხოლოდ საქართველო არ არის გამონაკლისი, რომ ცხოვრების დონე დაეცა.

მინისტრთა კაბინეტის არშეცვლით მთავრობა ამტკიცებს, რომ მინისტრთა კაბინეტი, რომელიც მუშაობდა არჩევნებამდე, იყო ეფექტური და იმსახურებს, მეათე მოწვევის პარლამენტმა დაამტკიცოს იგივე მთავრობა, რაც არჩევნებამდე პერიოდში არსებობდა.

მიუხედავად იმისა, რომ ზაფხულში მთავრობამ მასზე დაკისრებულ მოვალეობას კარგად გაართვა თავი ჯანდაცვის მიმართულებით, ეკონომიკური მიმართულებით იყო ჩავარდნა. მთავრობამ აიღო 10 მილიარდ ლარზე მეტი მოცულობის სესხი. პირველ ეტაპზე თუ იყო გარკვეული წარმატებები ჯანდაცვის მიმართულებით, დღეს სამწუხაროდ, გვაქვს ჩავარდა, როგორც ჯანდაცვის, ასევე ეკონომიკური მიმართულებითაც“, – განაცხადა ნიკა ჩიტაძემ.

ნიკო ჩოხელი

კარლ ჰარცელი: დემოკრატია არაა ტესტი, დემოკრატია განვითარების პროცესია...

ეს არჩევნები ერთ-ერთი ნაბიჯია ამ პროცესში. ჩემი აზრით, 31 ოქტომბრის არჩევნებში ბევრი დადებითი რამ მოხდა და ამ მხრივ, 8 მარტის შეთანხმებამაც თავისი როლი ითამაშა. საარჩევნო კამპანიის განმავლობაში, მეტი პარტია ვნახეთ, მეტი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა გაჩნდა, მეტი საარჩევნო პროგრამა მოვისმინეთ. დისკუსია სწორედ იმაზე უნდა იყოს, თუ რა მიმართულებით უნდა დავიდეს ქვეყანა, – ამის შესახებ ევროკავშირის ელჩმა საქართველოში, კარლ ჰარცელმა განაცხადა.

„2018 წლის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით, როდესაც საქართველოში ახალი ჩამოსული ვიყავი, ამ არჩევნებში ნაკლები აგრესია და სიძულვილის გამოხატვა იყო. უნდა აღვნიშნო, რომ პანდემიის მიუხედავად, ამდენმა ადამიანმა მიიღო არჩევნებში მონაწილეობა. ამავდროულად, იყო დოკუმენტურად დადასტურებული ხარვეზები ეუთოჰოდირის ანგარიშში, იყო პრობლემები საჩივრებთან დაკავშირებით, უკვე არჩევნების შემდეგაც. ეს ყველაფერი გადაიზარდა სიტუაციაში, რომელშიც დღეს ვართ. ისევ ვსხედვართ მოლაპარაკების მაგიდასთან, იმართება პოლიტიკური დიალოგი და ვცდილობთ, ვიპოვოთ გამოსავალი. ვფიქრობ, ნათელია, რომ ეს მოლაპარაკებები ძალიან რთულად მიმდინარეობს, რადგან ვეხებით ისეთ ფუნდამენტურ საკითხებს, როგორიცაა არჩევნები, დემოკრატია, ის, თუ რა გზით უნდა წავიდეთ წინ. მე სულაც არ ველოდი, რომ მოლაპარაკებები ადვილი იქნებოდა. ვფიქრობ, ჯერ კიდევ არსებობს შესაძლებლობები, თუკი კარი ან თუნდაც ფანჯარა, მისაღები გამოსავლის საპოვნელად, ღიაა, მე, როგორც ერთ-ერთი ფასილიტატორი, აუცილებლად დავეხმარები ამ პროცესს, თუმცა, დრო გადის“, – აღნიშნა დიპლომატმა.

ვაფასებ თქვენს ერთგულებას საყოველთაო ჯანდაცვის იდეისადმი და ახალი კორონავირუსის ვაქცინის თანაბარი განაწილების მიზნით გაწეულ შრომას.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური დირექტორი ტედროს ადანომგებრეისუსი საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიასთან სატელეფონო საუბარს სოციალურ ქსელ ტვიტერში გამოეხმაურა.

„საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას მადლობას ვუხდი ძალიან კარგი სატელეფონო საუბრისთვის. გულწრფელად ვაფასებ თქვენს ერთგულებას საყოველთაო ჯანდაცვის იდეისადმი და ახალი კორონავირუსის ვაქცინის თანაბარი განაწილების მიზნით გაწეულ შრომას. ჩვენ ერთად უნდა ვიმოქმედოთ ამ პანდემიის დასასრულებლად“, – აცხადებს ჯანმოს გენერალური დირექტორი.

ბენ ჰოჯესი: ნატომ საქართველო სამოქმედო გეგმის გარეშე უნდა მიიღოს!

ამერიკის შეერთებული შტატების ჯარის ყოფილი მთავარსარდალი ევროპაში და გადამდგარი გენერალი ბენ ჰოჯესი იმედს გამოთქვამს, რომ 2021 წელს ნატო საქართველოს ალიანსში გაწევრიანებას შესთავაზებს. განცხდება გადამდგარმა გენერალმა „ამერიკის ხმასთან“ საუბრის დროს გააკეთა. ჰოჯესი ფიქრობს, რომ საქართველო ალიანსში სამოქმედო გეგმის გარეშე უნდა მიიღონ.

„ვისურვებდი, რომ 2021 წელს ჩრდილო-ატლანტიკურმა ალიანსმა – ნატომ, საქართველოს წევრობა შესთავაზოს. ეს რაც შეიძლება მალე უნდა მოხდეს და ალიანსმა საქართველო სამოქმედო გეგმის გარეშე უნდა მიიღოს. ეს სამოქმედო გეგმა ამ ვითარებაში აღარ მუშაობს, კარგად მუშაობდა მაშინ, როცა ნატომ ცივი ომის დასრულების შემდეგ პირველად დაიწყო გაფართოება. ახლა საქართველო გაცილებით დაწინაურებულია ნატოსთან, შეერთებულ შტატებთან და დიდ ბრიტანეთთან ურთიერთობებში. ვფიქრობ, რომ პროცესის დაჩქარება ვითარების შესაბამისი იქნება“, – ამბობს ბენ ჰოჯესი „ამერიკის ხმასთან“ საუბრის დროს.

ევროპაში ამერიკის შეერთებული შტატების ჯარის ყოფილი მაღალჩინოსანი აქვე იმედს გამოთქვამს, რომ საქართველოში ინსტიტუტები გაძლიერდება და სახელმწიფო „ახალგაზრდების ნდობას“ დაიბრუნებს.

„ქართველ ხალხს ძალიან სჭირდება კარგი ინსტიტუტები და მედია. სასამართლო და საარჩევნო პროცესები უნდა იყოს სრულად გამჭვირვალე და სამართლიანი. სწორედ ამას ვგულისხმობდი, ინსტიტუტების გაძლიერებაში რომელთა მიმართ ახალგაზრდების ნდობა უნდა გაიზარდოს. დიდი იმედი მაქვს, რომ ბაიდენის ადმინისტრაცია გააღრმავებს ურთიერთობებს საქართველოსთან, სწორად შეაფასებენ რეგიონში არსებული ვითარებას და შავი ზღვის რეგიონს მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა. საქართველოს აქვს ორპარტიული მხარდაჭერა და ეს პროცესი გრძელდება“, – ამბობს ბენ ჰოჯესი.

გადამდგარი ამერიკელი გენერალი აქვე ამბობს, რომ საქართველოს „ძალიან კარგი ახალი თაობა ჰყავს“ და ეს ქვეყნის უკეთესი მომავლის შექმნისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

საბა გუჯაბიძე

TBILVINO
WINE OF GEORGIA

ქართული ღვინის რენესანსი

საქართველოს ერთერთი ყველაზე ცნობილი ღვინის მწარმოებელი კომპანია თბილღვინო, მსოფლიოს 30-ზე მეტ ქვეყანაშია წარმოდგენილი და ყოველწლიურად ზრდის ძლიერი პარტნიორების ნუსხას,რომლებთანაც მუდმივად ტარდება შეხვედრები, ერთობლივი დეგუსტაციები და პრეზენტაციები. თბილღვინოს სპეციალისტები პროგრესულ ტექნოლოგიებთან ერთად, აცნობენ მათ საქართველოს კულტურას, ისტორიას, ტრადიციებს, და განსაკუთრებით იმას, თუ რას ნიშნავს ვაზი და ღვინო ქართველი ერისთვის, როგორ დაიწყო ქვეყანაში 8000 წლიანი ვაზის კულტურა, განსხვავებული ვაზის ჯიშების სელექცია და როგორ წარმატებით გრძელდება დღემდე.

სწორედ ერთ-ერთი ასეთი ვიზიტის დროს გაჩნდა იდეა, ეს ყველაფერი ისე მიეწოდებინათ პარტნიორებისთვის, რომ საქართველოზე, ქართული ვაზის ისტორიაზე, და თბილღვინოზე შეჰქმნოდათ დადებითი შთაბეჭდილება. მუშაობის პროცესში ნათელი გახდა, რომ უნდა შეექმნათ ანიმაცია, რომლითაც გარდა ქართული ღვინის 8000 წლიანი ისტორიისა, ქართველი ხალხი დაუახლოვდებოდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებს.

ანიმაციაზე მუშაობა რამდენიმე თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. პროექტი საკმაოდ რთული და საპასუხისმგებლო იყო. საქართველოში ვაზის მიერ საუკუნეების განმავლობაში განვლილ გზასთან ერთად,ნაჩვენები იქნა, რომ თბილღვინო ამ უნიკალური მემკვიდრეობის ღირსეული გამგრძელებელია.

ომარ მარგველაშვილი

ძმები ზურაბ
და გიორგი
მარგველაშვილები.

ანიმაციამ სულ რამდენიმე დღეში მოხსნა რეკორდები ინტერნეტ სივრცეში. მან ძალზე სწრაფად გაიჩინა 3 მილიონზე მეტი მნახველი და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ქართველი საზოგადოების წარმომადგენლებისაგან გამოიგზავნა უამრავი ძალიან პოზიტიური გამოხმაურება, რაც დამატებითი სტიმულია, ვაჩვენოთ ანიმაცია ყველგან, სადაც კი უცხოეთში ქართული ღვინო იქნება წარმოჩენილი.

თბილღვინომ კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი მსოფლიო მასშტაბის აღიარება 2020 წლის ნოემბერში მოიპოვა. კარგად ცნობილია რომ ღვინის შეფასების თვალსაზრისით განსაკუთრებულად გამოსარჩევია 3 საერთაშორისო კონკურსი, რომელიც ყოველწლიურად ტარდება ლონდონში: IWC, Decanter, IWSC. ეს არის სწორედ ის კონკურსები, სადაც შესაძლებელია მსოფლიოში ღვინის აღიარებული ექსპერტების, ობიექტური და მაღალპროფესიული შეფასება. ეს კონკურსი 37 წელია ტარდება. წელს კონკურსში 52 ქვეყანა იღებდა მონაწილეობას.

ამ კონკურსებზე თბილღვინო ბოლო წლების განმავლობაში სტაბილურად იღებს 20-ზე მეტ მედალს, თუმცა 2020 წელი განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა. ლონდონის საერთაშორისო კონკურსებზე მიღებულია 31 ჯილდო. საიდანაც თბილღვინოს ღვინოებმა 1 ტროფი (უმაღლესი ჯილდო), 3 ოქრო, 6 ვერცხლი და 16 ბრინჯაო დაიმსახურეს. თბილღვინოს ეს მიღწევა, ამ ძალიან მნიშვნელოვან ღვინოების კონკურსზე, დამოუკიდებელ საქართველოს ისტორიულ გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს.

პირველად ლონდონის საერთაშორისო კონკურსის ისტორიაში IWC-ს (International Wine Challenge), ჩემპიონის სტატუსი და უმაღლესი ჯილდო ქართულმა ღვინომ მოიპოვა. ეს კონკურსი 37 წელია ტარდება. წელს 52 ქვეყანა იღებდა კონკურსში მონაწილეობას.ღვინის მწარმოებელ მოწინავე ქვეყნების რჩეულ ღვინოებს შორის (ავსტრალია, იტალია, ესპანეთი, საფრანგეთი, არგენტინა, ჩილე, და ა.შ) თბილღვინოს „საფერავი“ წლის ჩემპიონ, საუკეთესო წითელ ღვინოდ აღიარეს. რა თქმა უნდა, ეს მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქართული, უმაღლესი ხარისხის ღვინის პოპულარიზაციას საერთაშორისო მასშტაბით.

როგორც მოგეხსენებათ, 2020 წელი სავსე იყო გამოწვევებით და სირთულეებით. მიუხედავად ამისა თამამად შეიძლება ითქვას, რომ თბილღვინომ ამ გამოწვევებს ღირსეულად გაართვა თავი. არსებულ გამოწვევებზე სწრაფად მოხდა რეაგირება და გატარებულ იქნა შესაბამისი ზომები. განხორციელდა ყველა დაგეგმილი მნიშვნელოვანი პროექტი, მაგალითად ახალი ვენახების გაშენება წვეთოვანი ირიგაციით, და საწარმოო სიმძლავრეების ზრდა-განვითარება.

შესაბამისად, 2020 წელს ქინძმარაულის მიკროზონაში, სოფელ ენისელში თბილღვინომ შეძლო დამატებით 42 ჰა საფერავის ვენახის გაშენება. ჯამში მსხმოიარე ვენახების ფართობმა 300 ჰექტარს გადააჭარბა. კომპანია აგრძელებს საკუთარი ვენახების გაშენებას და 2021 წელს დაგეგმილი აქვს 50 ჰა ახალი ვენახის გაშენება, რაც მაღალ ხარისხოვანი ქართული ღვინოების რაოდენობის ზრდის გარდა, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის წინაპირობაა.

წელს თბილღვინომ რეკორდული რაოდენობის ყურძენი გადაამუშავა. გაყიდვების ზრდას თან ახლავს გარკვეული რისკები, სწორედ ამის გათვალისწინებით, თბილღვინო ყოველწლიურად აძლიერებს საწარმოო სიმძლავრეების გეგმაზომიერ ზრდას. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ კომპანიის თანმიმდევრული ზრდის შედეგად, პანდემიით გამოწვეულმა სირთულეებმა, გეგმების განხორციელება ვერ შეაფერხა და არც საწარმოო პროცესის ზრდის ტემპები შენელებულა.

თბილღვინომ საქართველოს ბაზარზე გაყიდვების კლების ფონზე, გააძლიერა გაყიდვების გუნდი და 2020 წლის ივნისიდან აამუშავა ონლაინ მაღაზიაც, რომლის საშუალებითაც მომხმარებელს მაქსიმალური კომფორტი შეუქმნა. ონლაინ მაღაზიის მოღვაწეობას საკმაოდ დადებითი დინამიკა აქვს.

პანდემიის გამო 2020 წელს საქართველოში ღვინის ექსპორტი შემცირდა, თბილღვინოს კი საექსპორტო ბაზრების უმრავლესობაში ექსპორტის ზრდა აქვს. უფრო მეტიც, 2019 წელთან შედარებით თბილღვინოს 7%-იანი ზრდა აქვს პროდუქციის ექსპორტის მიმართულებით. გარდა ამისა, მიუხედავად პანდემიისა, კომპანიამ მოახერხა და თანამშრომლობა დაიწყო ოთხ ახალ ძლიერ დისტრიბუტორთან ევროპაში.

თბილღვინო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ქვევრის ღვინის პოპულარიზაციას. წელს კომპანიამ გადაწყვიტა რომ მცირე რაოდენობით უძველესი ქართული ყურძნის ჯიშისგან დამზადებული „ქვევრის მცვივანი“ აწარმოოს. ამის პარალელურად, ამავე მიმართულების განვითარებაა „ამბერ რქაწითელი“ და „ამბერ ქისი“, რომელიც მალე მოიპოვებს პოპულარობას როგორც საქართველოში, ასევე უცხოურ ბაზრებზე. თბილღვინომ გაზარდა ასორტიმენტი განსაკუთრებული მარაგის ღვინოებშიც, რომლებიც ფრანგულ მუხის კასრებში ვარგდება ხუთი, თორმეტი და თხუთმეტი თვის განმავლობაში „წინანდალთან“, „საფერავსა“ და „მუკუზანთან“ ერთად, მომავალი წლიდან გადწყვეტილი აქვს „მწვანე“ განსაკუთრებული მარაგის წარმოებაც.

დაბოლოს, კომპანია აგრძელებს განვითარებას ყველა მიმართულებით, 2021 წელი და შემდგომი წელი კიდევ უფრო მრავალფეროვანი იქნება საინტერესო პროექტებითა და სიახლეებით.

ამ უმნიშვნელოვანესი წარმატებების სულისჩამდგმელები და ორგანიზატორები არიან კომპანიის დამფუძნებლები ძმები **ზურაბ** და **გიორგი მარგველაშვილები**.

სააქციო საზოგადოება თბილღვინოს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა ბატონი **ომარ მარგველაშვილი**.

გიორგი კვესიტაძე,
აკადემიკოსი.

თბილღვინოს ანიმაცია ქართული ღვინის 8000-წლიან ისტორიაში გვამოგზაურებს

შესვლა – არშესვლა, საკითხავი აი ეს არის!

„რომც ჩაუდგნენ ეს ოპოზიციონერები ქუჩაში გამოსულ ხალხს სათავეში, ამ მშიერ ხალხს რით აპურებენ?!“



„ერთიან ოპოზიციას რა სტრატეგია აქვს?! გარდა იმისა, რომ ხალხს მოშივდება და ქუჩაში გამოვა. თუ ეს სტრატეგიაა, მე არ ვიცი. რომც ჩაუდგნენ ეს ოპოზიციონრები ქუჩაში გამოსულ ხალხს სათავეში, ამ მშიერ ხალხს რით აპურებენ?!“ – აცხადებს პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე.

თვით ოპოზიციაც კი აღიარებს, რომ მასობრივი საპროტესტო აქციების ეტაპი დასრულდა, აიფონის ეპოქაში ხალხის მასები ქუჩაში არ გამოვლენ, დღევანდელი ადამიანები პროტესტს უფრო გამოხატავენ ინტერნეტით, მობილურით. თუ ეს ასეა, მაშინ რისი იმედი აქვს ოპოზიციას გაზაფხულისთვის, ხუმრობით რომ ვთქვათ, არსენალში მხოლოდ ინტერნეტრევოლუცია რჩება?

– დარწმუნებული არ ვარ, რომ ოპოზიცია ხალხის მობილიზებას შეძლებს. ხალხი შეიძლება ქუჩაში გამოიყვანოს არა ოპოზიციამ, არამედ სოციალურმა და ეკონომიკურმა ცუდმა ვითარებამ, მაგრამ ესეც ნაკლებად მოსალოდნელია. დღესდღეობით ოპოზიციიდან ისმის მხოლოდ ერთი რამ, ხელისუფლებას ვაცალოთ, შიმშილი იქნება გაზაფხულზე და ხელისუფლება იძულებული გახდება, დათმობებზე წამოვიდესო. ამის იმედით სტრატეგიის შემუშავება, რომ ეს სტრატეგიის დონეზე აიყვანო და ამით გინდოდეს წარმატების მიღწევა, არ ვიცი, რამდენად გამართლებული და სწორია. ჯერჯერობით პანდემიაა და არა მგონია, ვინმემ ეს პროცესი დაიწყოს, მაგრამ ასეთი სტრატეგიის შემუშავება არასწორია. გაოცებული ვარ ერთი რამით, რასაც ვერაფრით ვერ ავუვლი გვერდს, 2007-დან დაწყებული, 2011 წლის 26 მაისამდე სულ ქუჩა იყო გადაკეტილი, ისეთ მასშტაბურ ორგანიზებას ოპოზიცია ვერ შეძლებს. იმ პერიოდში ეს შეძლო მაშინდელმა ოპოზიციამ, მაგრამ რას მიაღწია ამით?

– ახლა ლიდერიც არ ჰყავთ, რომ არაფერი ვთქვათ, საერთაშორისო მხარდაჭერაზე. ამას გულისხმობთ ოპოზიციის არასწორ სტრატეგიაში?

– ახლა ისეთი ლიდერი არ ჰყავთ, რომელიც მთელ ოპოზიციას გააერთიანებს. გარდა ამისა, როდესაც დღეს აანონსებ, რომ შიმშილი მოვა, ხალხი ქუჩაში გამოვა და ამით ხელისუფლებას დავამარცხებთ, რა ვიცი, ცალკე პერსონებად რომ ავიღოთ, ეს ხალხი თითქოს საკმაო გამოცდილების მქონეა და განსჯის უნარი გაჩნიათ, ჯამურად რა ემართებათ, ვერ გავიგე. ჯამურად ისეთ გადაწყვეტილებებს ღებულობენ, რომელი გადაწყვეტილებებიც ყოვლად გაუმართლებელია. არ მესმის, ზოგადად, რის იმედზეა ოპოზიცია.

– სხვათა შორის, რესპუბლიკელმა ხათუნა სამნიძემაც აღნიშნა, ქუჩაში ყოფნა, კარვები ეს მძიმე გზაა და ყოველთვის კარგის მომტანი არ არის, ამიტომაც ოპოზიციური სპექტრი მზად არის მოსალაპარაკებლადო. „გირჩის“ წევრმა ვახტანგ მეგრელიშვილმა კი არ დამალა, რომ ქვის სროლას არ ემხრობა. როგორც ჩანს, ლეიბორისტების მაგიდასთან მოლაპარაკების შემდეგ კიდევ უფრო დაიქსაქსება ოპოზიცია. მათი ნაწილი თუკი ქვის სროლის მომხრე არაა, შეიძლება გაემიჯნოს თანამებრძოლებს და უფრო მეტად დაფიქრდეს, ღირს თუ არა რადიკალური გზის დადგომა?

– გასაგებია, რომ ოპოზიცია ერთიანი არ არის, მაგრამ, თუ პარლამენტში არ იქნება 130-კაცი, მაშინ პარლამენტში შესვლას მართლაც არ აქვს აზრი, რადგან ვერანაირ შესწორებებს ვერ მიიღებ, ფაქტობრივად, ვერაფერს გააკეთებ, მაგრამ მაინც ვიმედოვნებ, მთლიან ოპოზიციაში ჯამურად მოიძებნება 30 გამბედავი ადამიანი სხვადასხვა პარტიებიდან, რომლებიც შევლენ პარლამენტში და იქიდან დაიწყებენ ბრძოლას. თუ ასეთი 30 კაცი მოიძებნა, მერწმუნეთ, ეს იქნება ის ძალა, რომელიც გახდება მესამე ცენტრის შექმნის საფუძველი.

– თუკი ასეთი ადამიანები არ მოიძებნენ?

– თუ არ მოიძებნენ, მაშინ ყველანი ქუჩაში დარჩებიან. სხვა გამოსავალი არ არსებობს, ანუ პატარა პარტიების ცალკე, დამოუკიდებლად შესვლას მართლაც აზრი არ აქვს, მაგრამ კარგია ის ვარიანტი, როდესაც ოპოზიციაში არსებობენ ის ადამიანები, რომლებიც ღიად ადასტურებენ თავიანთ პოზიციას და, რომლებიც ამბობენ, გვითხარით, გაერთიანებულ, თუ ერთიან ოპოზიციას რა სტრატეგია აქვს, გარდა იმისა, რომ ხალხს მოშივდება და ქუჩაში გამოვა. თუ ეს სტრატეგიაა, მე არ ვიცი. რომც ჩაუდგნენ ეს ოპოზიციონრები ქუჩაში გამოსულ ხალხს სათავეში, ამ მშიერ ხალხს რითი აპურებენ?

– თქვენ პატარ-პატარა პარტიები ახსენეთ და „გირჩელმა“ იაგო ხვიჩიამ განაცხადა, რომ პატარა პარტიები ქოცების და ნაცების ომში გაიჭყლიტნენ. ეს ნიშნავს, რომ ამ პარტიებში სინანულის განცდაა პარლამენტში არშესვლის გამო?

– პატარა პარტიები რომ შევიდნენ პარლამენტში, აზრი არა აქვს, მაგრამ მათი მხრიდან ასეთი განაცხადის გაკეთებას პოლიტიკური აზრი ნამდვილად აქვს. მთელი ოპოზიციური სპექტრიდან მეტ-ნაკლებად პოლიტიკის ყველაზე ოპტიმალური ხედვა აქვს სწორედ ელისაშვილის, ხვიჩიას და იმ ჯგუფს, რომლებიც ოპოზიციისგან ითხოვენ, გვითხარით, რას გავაკეთებთ, როგორ გავაკეთებთ და რამდენად სწორია, ქუჩაში ველოდოთ ვითარების გამწვავებასო. გულწრფელად გითხრათ, ოპოზიციამ საერთოდ დამაბნია, უბრალოდ, რა არ მესმის, იცით? ოპოზიციის დღევანდელი ელიტის 90% პერსონალურად არიან ის ადამიანები, ვინც ხელისუფლებაში ნამყოფნი არიან, მათ უნდა ესმოდეთ, რას ნიშნავს ქუჩის აქციები. თავის დროზე რომ არ გააკეთეს არაფერი იმისთვის, რომ ქვეყანაში ვითარება შეეცვალათ, ამაზე აღარ ვლაპარაკობ, მაგრამ დღევანდელ ოპოზიციაშია ის ხალხი, ვინც 2008-ში მანდატები დახია და ის ხალხიც ოპოზიციაშია, ვინც მაშინ ხელისუფლებაში იყო. დასხდნენ და იმაზე მაინც ილაპარაკონ, რა წარმატებას მიაღწია მაშინ ან იმან, ვინც ქუჩაში იდგა, ან იმან, ვინც ხელისუფლებაში იყო.

– ოპოზიციის ნაწილი თანახმაა, 2022 წელს ვადამდელი არჩევნები ჩატარდეს, ნაწილი უფრო ადრეულ პერიოდში მოითხოვს ვადამდელის ჩატარებას. მოლაპარაკება რაზე უნდა შედგეს?

– მიმდინარეობს კი 2022 წელზე ლაპარაკი? „ქართული ოცნება“ ამბობს, რომ აქ წითელი ხაზია გავლებული და არ აპირებს ვადამდელი არჩევნების დანიშვნას. თუ ქუჩაში ხალხი გამოვა, ეს ოპოზიციის დამსახურება კი არ იქნება, იმის დამსახურება კი არ იქნება ქუჩაში ხალხის გამოსვლა, რომ ოპოზიცია პარლამენტში არ შევიდა, არამედ ეს კრიზისის დამსახურება იქნება. ოპოზიცია პარლამენტში რომც შევიდეს, მთავრობა და აღმასრულებელი ხელისუფლება დღეს უმრავლესობის ხელშია, ამიტომ სრულიად აბსურდულ ვითარებას ვიღებთ.

მანანა ნოზაძე

◎ დილემა

ვისწავლოთ შეცდომებზე!

ახალ პოლიტიკურ წელს ახალი პარლამენტითა და განახლებული მთავრობით ვეგებებით, მაგრამ დარჩა საკითხი, ოპტიმალურ გადაჭრას რომ საჭიროებს.

საუბარია თავის დროზე კარგა გვარიანად გამსხვილებულ სამინისტროზე, ერთდროულად განათლება, მეცნიერება, კულტურა და სპორტი რომ შეისრუტა. სწორედ მისი ამჩატება განიხილება 2020-ის ფინიშზე, მაგრამ საკითხავია, მივაგნებთ კი ისეთ გამოსავალს, მომავალშიც რომ არ შეგვახსენოს აღნიშნულმა პრობლემამ თავი?

ასეთი დილემა ახლადარჩეული პრემიერის პოზიციამ გააჩინა და თქვენს სამსჯავროზე გამოგვაქვს, თანაც ვიმედოვნებთ, რომ კომპეტენტურ მოსაზრებებს მკითხველთა შესაბამისი კონტიგენტისგანაც მოვისმენთ. ადამიანები ვართ და დასახელებული უწყებების შერწყმისას, ეტყობა, შეცდომა დავუშვითო – ბრძანა ბატონმა გიორგი გახარიამ.

კეთილი და პატიოსანი – საკუთარ შეცდომას ღირსეული კაცი აღიარებს ხოლმე, მაგრამ, დაგვეთანხმებით, მასზე უნდა ისწავლოს და აღარ უნდა გაიმეოროს. აი, სწორედ ეს საფრთხე, არსებობს, თურმე.

დიახ, როცა სავარაუდოდ, მასობრივი სპორტის განათლების სამინისტროსთვის აკიდებისა და პროფესიული სპორტის კულტურის სამინისტროში დეპარტამენტის სტატუსით შესაღების ვარიანტებს ენიჭება უპირატესობა, ძალაუნებურად დაასკვნი კაცი – კიდევ ერთხელ ხომ არ ემუქრება სპორტს გერის როლში ყოფნა?

მართლაც, თუ ასე დავწვრილმანდებით, მაშინ, მოდით, რეგიონული სპორტული ორგანიზაციები სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვუფეშქაშოთ და ასე შემდეგ, მაგალითების მოყვანა უსასრულოდ შეიძლება. ასე რომ, ასჯერ გავზომოთ და ერთხელ გავჭრათ.

გია პლატონიშვილი

მინისტრის საახალწლო საჩუქრები პატარებს

საქართველოს თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, სამხედრო მოსამსახურეებმა 2008 წლის აგვისტოს ომში, საერთაშორისო მისიებსა და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების შვილებს დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცეს და საახალწლო საჩუქრები გადასცეს.

ბავშვებმა მინისტრის საჩუქრები მამების მეგობრებისგან მიიღეს. სამხედროები გმირების ოჯახებს სახლებში ესტუმრნენ და აიპადები, „ჰაიქსის“ ფირმის აქსესუარები და ტკბილეულობა გადასცეს.

დახმარება სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახებისთვის

თბილისის საკრებულოს კამპანია, რომლის ფარგლებშიც, სოციალურად დაუცველ, იმ მრავალშვილიან ოჯახებს ეხმარებიან, რომელთაც ოთხი და მეტი შვილი ჰყავთ, გრძელდება. კამპანიის ფარგლებში, 1500-მდე ოჯახი საკვებ პროდუქტებსა და პირველადი დახმარების ნივთებს მიიღებს.

აღნიშნული კამპანიის გასაგრძელებლად, დედაქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოს ბიუჯეტი 200 ათასი ლარით შემცირდა, რაც მერის სარეზერვო ფონდში აისახა და სწორედ ამ თანხით მოხდა ოჯახებისთვის გადასაცემი ნობათების შეძენა.

როგორც საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, პროდუქტებს თბილისის საკრებულოს მაჟორიტარი წევრები თავიან სამაჟორიტარო ოლქებში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ, იმ მრავალშვილიან ოჯახებს დაურიგებენ, რომელთაც ოთხი და მეტი შვილი ჰყავთ.

დედაქალაქის საკრებულომ აღნიშნული კამპანია კორონავირუსთან ბრძოლის პერიოდში დაიწყო და პასუხისმგებლობა თბილისში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან ოჯახებზე აიღო. კამპანიის ფარგლებში, საკრებულოს უმრავლესობის წევრებმა, საკვები პროდუქტები ყველა სამაჟორიტარო ოლქში დაარიგეს.

მსოფლიო და ქართული მეცნიერების უკვდავი სახელი

მარჯვნიდან მარცხნივ – ელეფთერ ანდრონიკაშვილი, კაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ირაკლი ანდრონიკოვი

(პირველი გვერდიდან) ელეფთერ ანდრონიკაშვილი დაიბადა 1910 წლის 25 დეკემბერს პეტერბურგში, ცნობილი იურისტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ოჯახში. მისი დედა, ეკატერინე გურევიჩი, ცნობილი რუსი ისტორიკოსისა და პედაგოგის, იაკობ გურევიჩის უმცროსი ქალიშვილი, ლიტერატორი იყო. 1920 წლამდე ოჯახი პეტერბურგში ცხოვრობდა, 1920 წელს, მოკლე ხნით გადავიდა საცხოვრებლად მოსკოვში და 1921 წლის აგვისტოში ანდრონიკაშვილების ოჯახი რუსეთიდან თბილისში გადმოდის საცხოვრებლად. ყმაწვილი ელეფთერისთვის ეს პირველი სტუმრობა იყო საქართველოში, რასაც ის თავის მოგონებებში ასე იხსენებს: **„თბილისში ძალიან სწრაფად გაიღვიძა ჩემში იქამდე სადღაც მთვლემარე პატრიოტიზმმა. სიტყვა მივეცი ჩემს თავს, სარგებლობა მომეტანა ჩემი ერისათვის“**. ეს ერთობ ნიშანდობლივი სიტყვებია. ბატონი ელეფთერი რუსული კულტურის კაცი იყო, ის ქართულად გამართულად ვერც საუბრობდა, მაგრამ პატრიოტიზმი და სამშობლოს სიყვარული მას ქვეყნის მსახურებასა და მისთვის სარგებლობის მოტანაში ესახებოდა. ამ საქმეს შეალია მან მთელი ცხოვრება და ბევრი სასარგებლო რამ გაუკეთა საქართველოს.

1928 წელს ელეფთერ ანდრონიკაშვილი შედის ლენინგრადის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზიკა-ტექნიკის ფაკულტეტზე. იქ მას ასწავლიდნენ თითქმის მისი თანატოლები, მაგრამ უკვე ცნობილი მეცნიერები, შემდგომ კი მისი მეგობრები: ი. ფრენკელი, მ. ბრონშტეინი, ლ. ლანდაუ. პრაქტიკას სტუდენტი ანდრონიკაშვილი გადიოდა აკადემიკოს აბრამ იოფეს მიერ დაარსებულ ლენინგრადის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში, რომელიც მისთვის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ორგანიზაციის ეტალონადაც კი იქცა.

მარჯვნიდან მარცხნივ – ელეფთერ ანდრონიკაშვილი, ნილს ბორი, ადელაიდა აზო (თარჯიმანი), ნილს ბორის შვილი, ნობელის პრემიის ლაურეატი ოგე ბორი.

უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ანდრონიკაშვილი ორი წელი მოსკოვის აეროჰიდროდინამიკის ცენტრალურ ინსტიტუტში საავიაციო მასალების გამოცდის განყოფილებაში მუშაობს ინჟინრად. 1933 წელს, თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანმა ნიკოლოზ მუსხელიშვილმა 23 წლის ელეფთერ ანდრონიკაშვილი მიიწვია თბილისში დოცენტის მოვალეობის შემსრულებლად. 1935 წელს ე. ანდრონიკაშვილმა თბილისშივე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია „მყარი ფაზის ჩანასახების წარმოქმნის მექანიზმები გამდნარ ლითონებში“.

გასული საუკუნის 30-იან წლებში ფიზიკისა და ტექნიკის ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე დარგი იყო დაბალი ტემპერატურების ფიზიკა, რომელიც ძირითადად ჰოლანდიაში და ინგლისში ვითარდებოდა. იმ დროისთვის უკვე აღმოჩენილი იყო ზეგამტარობა, როცა ზედაბალ ტემპერატურაზე ლითონების ელექტროწინაღობა მეყვსეულად ეცემა ნულამდე. 1938 წელს პეტრე კაპიცამ აღმოაჩინა კიდევ უფრო გასაოცარი – თხიერი ჰელიუმის ზედენადობის მოვლენა. თბილისში მუშაობისას ელეფთერ ანდრონიკაშვილს უჩნდება სურვილი, შეისწავლოს მასალებში უკიდურესად დაბალი ტემპერატურების პირობებში მიმდინარე პროცესები. როგორც შემდგომში აღმოჩნდა, როგორც ზეგამტარობა, ასევე ზედენადობა კვანტური მექანიკის კანონების მაკროსკოპულ მასშტაბში გამოვლენის საოცარი მაგალითებია. ზუსტადაც რომ ეს ურთულესი საკითხები, მიკროსამყაროსთვის დამახასიათებელი კვანტური ბუნების გამოვლინება მაკროსისტემებში, გახდა ელეფთერ ანდრონიკაშვილის კვლევის ძირითადი არეალი თითქმის სამი ათეული წლის განმავლობაში.

1940 წლის იანვარში ის მუშაობას იწყებს მოსკოვის ფიზიკური პრობლემების ინსტიტუტის დოქტორანტურაში – აკადემიკოს პეტრე კაპიცას ხელმძღვანელობით. თემა აირჩია დაბალი ტემპერატურების ფიზიკიდან – ჰელიუმის ზედენადობა. 1941 წ. დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე, კაპიცას ინსტიტუტი მოსკოვიდან ევაკუირებული იქნა ყაზანში. ანდრონიკაშვილი ჯერ გაჰყვა ინსტიტუტს ყაზანში, თუმცა შემდეგ მალევე დაბრუნდა თბილისში. 1945 წლის 1 იანვრიდან აკად. კაპიცას მიწვევით ანდრონიკაშვილი აგრძელებს მუშაობას ფიზიკური პრობლემების ინსტიტუტის დოქტორანტურაში. თხევადი ჰელიუმის ზედენადობის საკითხებზე მუშაობისას ის დაუახლოვდა გენიალურ ფიზიკოს ლევ ლანდაუს. კაპიცასა და ლანდაუსთან შემოქმედებითმა თანამშრომლობამ დიდწილად განსაზღვრა ანდრონიკაშვილის სამეცნიერო ინტერესების სფერო.

დოქტორანტურაში ანდრონიკაშვილმა მიზნად დაისახა ექსპერიმენტულად შეემოწმებინა ლ. ლანდაუს მიერ იმ დროს შემუშავებული ზედენადობის თეორიული მოდელის საბაზისო პოსტულატი, რომლის თანახმად, ზედენად მდგომარეობაში მყოფი სითხე ორკომპონენტიან სისტემას წარმოადგენს. ერთი კომპონენტი სრულიად მოკლებულია სიბლანტეს, მეორე კი, ბლანტია და იწვევს სითხეში მოძრავი სხეულის დამუხრუჭებას. ე. ანდრონიკაშვილმა შექმნა მახვილგონივრული ექსპერიმენტული დანადგარი, რომლის მეშვეობითაც მან მოახერხა გაეზომა ზედენად მდგომარეობაში მყოფი თხიერი ჰელიუმის სიბლანტის მატარებელი კომპონენტის სიმკვრივე. აღმოჩნდა, რომ ამ კომპონენტის სიმკვრივე ტემპერატურის შემცირებისას კლებულობს და თანდათანობით ასპარეზს უთმობს ზედენად კომპონენტს.

ე. ანდრონიკაშვილის მიერ მიღებული ეს შედეგი შევიდა ზედენადი ჰელიუმის თვისებებისადმი მიძღვნილ არაერთ მიმოხილვაში, მონოგრაფიასა თუ სახელმძღვანელოში და მის ავტორს საერთაშორისო აღიარება მოუტანა. ანდრონიკაშვილმა კაპიცას ინსტიტუტში დაჰყო სამნახევარი წელი და დაასრულა სადოქტორო დისერტაცია „ზედენადობის ჰიდროდინამიკა“, რომელიც წარმატებით დაიცვა 1948 წელს ფიზიკური პრობლემების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე. 1952 წელს ე. ანდრონიკაშვილის მიერ მიღებული ფუნდამენტური შედეგები სტალინური პრემიით აღინიშნა.

1948 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ნიკოლოზ მუსხელიშვილის და თსუ-ს რექტორის ნიკო კეცხოველის დაჟინებული მოთხოვნით ე. ანდრონიკაშვილი ბრუნდება საქართველოში და იწყებს თბილისის უნივერსიტეტში ახლად გახსნილი ფიზიკა-ტექნიკის ფაკულტეტის სპეციალური სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიების და ექსპერიმენტული ფიზიკის კათედრის ჩამოყალიბებას.

1950 წელს ე. ანდრონიკაშვილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორად დაინიშნა. ამავე წელს ის არჩეული იქნა მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1955 წელს – აკადემიის ნამდვილ წევრად.

მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში სრულად გამოვლინდა ე. ანდრონიკაშვილის დიდი სამეცნიერო და ორგანიზატორული შესაძლებლობები. ის მოკლე ხანში ახერხებს მბრუნავი ზედენადი ჰელიუმის თვისებების ფართომასშტაბიანი კვლევების ორგანიზაციას. ქართველ კოლეგებთან ერთად, უკვე თბილისში, ფიზიკის ინსტიტუტში, მან აღმოაჩინა, რომ მბრუნავი თხევადი ჰელიუმის შემთხვევაში ზედენადი კომპონენტი თანამონაწილეობს ჭურჭლისა და ნორმალური კომპონენტის ბრუნვაში. ეს ცდა საფუძვლად დაედო ანდრონიკაშვილისა და მისი მოწაფეების შრომათა დიდ ციკლს, რომელშიც ექსპერიმენტულად ცალსახად დადასტურდა ზედენადი სითხის ბრუნვის ონსაგერ-ფეინმანის თეორია.

ე. ანდრონიკაშვილის ბუნება ვერ შეეგუებოდა ფიზიკის მხოლოდ ერთი დარგით შემოფარგვლას. მისი სამეცნიერო ინტერესები გაცილებით უფრო ფართო იყო, ვიდრე, თუნდაც საოცრად მიმზიდველი ზედენადი სითხეების ფიზიკა. ე. ანდრონიკაშვილის მიზანი იყო, ინსტიტუტი ექცია მრავალდარგოვან სამეცნიერო ცენტრად, სადაც კონდენსირებული გარემოს მხარდამხარ კვლევები გაიშლებოდა ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკაში, პლაზმის ფიზიკასა და ბიოლოგიური სისტემების ფიზიკაში. ჯერ კიდევ 1949 წელს ე. ანდრონიკაშვილის ხელმძღვანელობით თბილისის უნივერსიტეტისა და მეცნიერებათა აკადემიის ახალგაზრდა მკვლევართა ჯგუფმა მოაწყო ექსპედიცია იალბუზზე, ხოლო 1950 წელს ზღვის დონიდან 3950 მეტრის სიმაღლეზე ამოქმედდა კოსმოსური სხივების შემსწავლელი „ყინულოვანი ბაზა“. იმხანად, ამაჩქარებლები არ იყო და მთელი ინფორმაცია მანამდე უცნობი ელემენტარული ნაწილაკების შესახებ სწორედ კოსმოსური სხივების წყალობით აღწევდა ჩვენამდე. მალევე ქართველ ფიზიკოსთა ენთუზიაზმი დაგვირგვინდა ე.წ. „უცნაური“ ნაწილაკების დაფიქსირებით (პირველად საბჭოთა კავშირში). როგორც შემდგომში გაირკვა, ეს პირველი წარმატება იყო საწინდარი იმ მნიშვნელოვანი წვლილისა, რომელიც შემდგომში ქართველმა ფიზიკოსებმა შეიტანეს ნაწილაკთა ფუნდამენტური თვისებების დადგენაში.

ასევე, 50-იან წლებში, ანდრონიკაშვილის ინიციატივით, ფიზიკის ინსტიტუტში დაიწყო ზემაღალი მგრძნობელობის დიფერენციალური კალორიმეტრის შექმნაზე მუშაობა. მისი ხელმძღვანელობით შემუშავებულმა უნიკალურმა მეთოდმა შესაძლებელი გახადა ბიომაკრომოლეკულაში მიმდინარე სტრუქტურული გარდაქმნების თერმოდინამიკური მეთოდებით გამოკვლევა. შესწავლილ იქნა ცილების და ნუკლეინის მჟავების მოლეკულების კონფორმაციული გადასვლები, დადგინდა ე.წ. ბმული წყლის განსაკუთრებული როლი ბიომაკრომოლეკულების სტრუქტურასა და ცხოველმყოფელობაში; აღმოჩენილ იქნა სპირალისა და გორგლის მდგომარეობაში მყოფი ცილის სითბური თვისებების მნიშვნელოვანი განსხვავება დაბალ ტემპერატურაზე.

1978 წელს, ელეფთერ ანდრონიკაშვილს, დიფერენციალური კალორიმეტრის შექმნასა და მისი გამოყენებით ბიოლოგიური ობიექტების კვლევაში, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

ფუნდამენტური ხასიათის სამუშაოებთან ერთად ე. ანდრონიკაშვილს ყოველთვის იზიდავდა გამოყენებითი ხასიათის ამოცანები. ის ადვილად თანამშრომლობდა სხვადასხვა დარგის ლაბორატორიებთან, ამყარებდა კონტაქტებს ფიზიოლოგებთან, ქიმიკოსებთან, ინჟინრებთან, ექიმებთან, თუკი ამას მოითხოვდა კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტა. მისი ამგვარი ინტერესის ერთი კარგი მაგალითია მცხეთაში კვლევითი ბირთვული რეაქტორის აგება და ამუშავება 50-იანი წლების ბოლოს. 1957 წელს დაიწყო კოსმოსური ეპოქა. კოსმოსში ხომალდი იმყოფება უკიდურესად ცივ გარემოში (კოსმოსში ტემპერატურა იგივეა, რაც ზეგამტარი ჰელიუმის ტემპერატურა – 270 □ს) და თანაც მძლავრი რადიაციის და ძლიერი მექანიკური დატვირთვების პირობებში. რა მოსდის ამ დროს მასალებსა და ელექტრონიკას? იმ დროს პასუხი ამაზე არავის არ ჰქონდა. ე. ანდრონიკაშვილის ხელმძღვანელობით, ახლად აგებულ რეაქტორზე შეიქმნა უნიკალური ე.წ. ცივი მარყუჟები, სისტემა, რომლითაც ხდებოდა ზედენადი ჰელიუმის მიწოდება რეაქტორის აქტიურ ზონაში და, შესაბამისად, ნიმუშების დასხივება კოსმოსურ ტემპერატურებზე და შემდგომ მათი თვისებების შესწავლა. ამან სათავე დაუდო კვლევების ახალ მიმართულებას – დაბალტემპერატურულ რადიაციულ მასალათმცოდნეობას, მიმართულებას, რომელშიც ფიზიკის ინსტიტუტს ანდრონიკაშვილის პიონერული ინიციატივების მადლით დიდხანს ეკავა წამყვანი პოზიციები მსოფლიოში.

ე. ანდრონიკაშვილი გარდაიცვალა 1989 წლის 9 სექტემბერს. ის თითქმის 40 წლის განმავლობაში ედგა სათავეში ამჟამად მისი სახელობის ფიზიკის ინსტიტუტს. მისი ხელმძღვანელობით ფიზიკის ინსტიტუტმა მაღალი საერთაშორისო რეპუტაცია მოიპოვა. მისი ხელმძღვანელობის დროს და შემდგომში, ინსტიტუტს სტუმრობდა მრავალი გამოჩენილი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატები, მსხვილი საერთაშორისო ცენტრების ხელმძღვანელები, რომლებიც პატივად მიიჩნევდნენ გამოჩენილი მეცნიერის ინსტიტუტში სტუმრობას. დღესაც ფიზიკის ინსტიტუტის ყველა წარმატება, არსებული მრავალი საერთაშორისო თანამშრომლობა თუ კოლაბორაცია მისი დამაარსებლის, აკადემიკოს ელეფთერ ანდრონიკაშვილის იდეების გაგრძელებისა და მისი სახელის უკდავყოფის დასტურია.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თსუ ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი

ამდენის აჭანა წარმოუდგენელია!

„კაცნი სახელად მიქვიან, არიან ქაჯთა კრებული...“
რუსთაველი

„დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!..“
გურამიშვილი

შეუძლებელია, დღევანდელ საქართველოში მიმდინარე არაჯანსაღ პოლიტიკურ პროცესებს აკვირდებოდე და ბნელი, დამანგრეველი ძალების ბოროტად გამიზნული ქმედებით აღშფოთებული არ დარჩე. ეს სისაძაგლე, წლების მანძილზე, განუწყვეტლად, მანიაკური აჩემებით ხდება. ბოლო თვეების განმავლობაში, ვითომდა ოპოზიციონერები გააფთრებით ცდილობენ, ყველა წესების დაცვით ჩატარებული, დღემდე ყველაზე ობიექტური და დემოკრატიული არჩევნები (ეს აზრი, სხვათა შორის, სამართლისა და კანონების უბადლო მცოდნემ, მინდია უგრეხელიძემ გამოთქვა) არალეგიტიმურად წარმოაჩინონ, პარლამენტში შესვლაზე უარს აცხადებენ და ხელახალ, ვადამდელ არჩევნებს დაჟინებით მოითხოვენ, რასაც, წინასწარ შეიძლება ითქვას, ვერანაირად ვერ მიაღწევენ. მათ სხვა მუცლის გვრემა ჭირთ; ქაოსის, არეულობის დატრიალება და ძალაუფლების ყაჩაღურად მიტაცება სურთ – არჩევნები მხოლოდ საბაბია.

ეკრანზე გამოჭიმულები, ვიდრე პირს გააღებენ, უმალ მიხვდები, რომ დაშტამპული, ყოველგვარ აზრს მოკლებული პრეტენზიები უნდა დაახვავონ, ხელახლა ჩასატარებელი რიგგარეშე არჩევნების თაობაზე. აი, ამ ადამიანთა ძირითადი ბირთვი: **გიგა ბოკერია, დავით ბაქრაძე, გიგი უგულავა, შალვა ნათელაშვილი, გიორგი ვაშაძე, გია ბარამიძე, საბა ბუაძე, ზაალ უდუმაშვილი, ზურაბ ჯაფარიძე, ნიკა მელია, საქართველოს დამაქცევარი ღორეშელი ორჯონიკიძის „ღირსეული“ სეხნიები სერგო ჩიხლაძე, სერგო კაპანაძე და ძმანი მათნი.**

აქვე შეიძლება დავასახელოთ უხერხულ გარიგებებში მეტისმეტად აქტიურად ჩართული, განუზომელი ენერგიის მქონე ქალბატონები: **სატია დეკანოიძე, ეკა ბესელია, თინა ბოკუჩავა, სალომე სამადაშვილი, ელენე ხოშტარია და მათნაირები.**

„ქართული ოცნების“ თვალსაჩინო წევრები: **ირაკლი კობახიძე, არჩილ თალაკვაძე, გია ვოლსკი, მამუკა მდინარაძე, კახა კალაძე, ნოდარ სარჯველაძე, შალვა პაპუაშვილი** და სხვები ცივილურად, დინჯად, დარბაისლურად განუმარტავენ საბოტაჟად გადაქცეულ, გაუთავებელ ბოიკოტს ჩაბღაუჭებულ ახირებულ ოპოზიციონერებს, რომ მათი მოთხოვნა აბსოლუტურად უსაფუძვლოა, განხილვასაც არ იმსახურებს, ამაოდ სთავაზობენ მათ ხმების გადათვლა მოხდეს, მაგრამ ხელისუფლების მხრიდან ყოველი ცდა კედელზე ცერცვის შეყრას წაგავს.

რამდენად სინდისგარეცხილები უნდა იყვნენ სამარცვინოდ გადახვეწილი, უამრავ უპატიებელ დანაშაულთა გამო სასჯელდასადები სააკაშვილის (იგი ამჟამადაც, უკრაინიდან, თავის სისხლში მოთხვრილ ხელებს საქართველოს შინაურ საქმეებში აფათურებს და გამოთაყვანებულ ბრბოს გადატრიალებისთვის აქეზებს) შხამიანი კუდები, რომ დღესაც აურაცხელ სიაძაგლეთა ჩამდენი პროფესიონალი მკვლელები კვლავ ხელისუფლების სათავეში მოქცევას აპირებენ; ფარისევლური, უყალბესი დაპირებებით მოსახლეობას თვალში ნაცარს აყრიან, მაგრამ მათ გაიძვერულ ანკესს აღარავინ წამოეგება.

ხალხის უმრავლესობას, ჯანსაღ, პატიოსან ნაწილს ძალზე მოსწონს ახლანდელი პრემიერ-მინისტრი, ძვეყნის არასახარბიელო მდგომარეობით გულრწფელად შეწუხებული და ერის მომავალზე დაუღალავად მზრუნველი გიორგი გახარია. ყველა ჩვენგანს უნდა ეყოს გონიერება, მტკიცედ დავუჭიროთ მხარი მის გუნდს, ხოლო ფუჭად მოლაყბე, ავყია პოლიტიკოსების ხროვას ისტორიის სანაგვეზე მივუჩინოთ კუთვნილი ადგილი, რასაც ისინი კარგა ხანია იმსახურებენ.

უთუოდ ქების ღირსია პრემიერ მინისტრის მოადგილე, ტაქტითა და გონიერებით გამორჩეული ქალბატონი მაია ცქიტიშვილი. იგი მართვის საუცხოო უნარს, მინდობილი საქმის ღრმა ცოდნას ამჟღავნებს; მეტყველების სადა, დახვეწილი მანერით იქცევს ყურადღებას – მეტად სასურველ შთაბეჭდილებას ახდენს მისი საუბრები სხვადასხვა რანგისა და პროფილის ბიზნესმენებთან ეკონომიკის საჭირბოროტო, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხებზე, რაც ჩემისთანა დილეტანტისთვისაც კი გასაგები, მისახვედრია.

აქვე იმასაც ვიტყოდი, რომ მისასალმებელი იქნება, ყველა მინისტრმა და თანამდებობის პირმა ისეთი კეთილსინდისიერებით იმუშაოს, როგორც რვა წლის მანძილზე, იუსტიციის მინისტრად ყოფნისას, ყველა ადამიანური ღირსებით შემკული ქალბატონი, თეა წულუკიანი ეწეოდა მძიმე ჭაპანს. მეათე მოწვევის პარლამენტში იგი განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა და ვიმედოვნებთ, ამ საკმაოდ რთულ სარბიელზე არსებულ პრობლემებსაც წარმატებით გაართმევს თავს.

ცოტა ხნის წინათ მეტად სწორი პოლიტიკური ორიენტაციის მქონე „საერთო გაზეთში“ (№38) წავიკითხე ჩემი ძველი მეგობრის, ომარ გოცაძის მძაფრი პუბლიცისტური წერილი, საიდანაც შევიტყვე, რომ გიგი უგულავამ, შეურაცხყოფა მიაყენა პატიოსნებითა და პირუთვნელობით ცნობილ აწგანსვენებულ მოსამართლეს, თეა წულუკიანის მამას, ავთანდილ წულუკიანს – „მკვლელად და დამხვრეტად“ მოიხსენია იგი, რაც აღმაშფოთებელი ცილისწამებაა. ომარ გოცაძემ ეჭვმიუტანლად ცხადჰყო ტყუილებში მხილებული გიგი უგულავას ბოროტი განზრახვა, ვისაც არავითარი ხელჩასაჭიდი არგუმენტი არ გააჩნია, რომ ნაცმოძრაობის ძირფესვიანად გამაცამტვერებელ თეა წულუკიანს დაუპირისპირდეს და ამიტომ მტკნარ სიცრუეზე აგებული იერიში მის მშობელ მამაზე მიიტანა, უმწიკვლო ადამიანი მკვლელისა და ჯალათის ოჯახში აღზრდილად გამოიყვანა.

გიგი უგულავას, როგორც ყოფილ პატიმარს (მას ბრალი წარედგინა, მერად ყოფნის დროს, მიხეილ ჯავახიშვილის გამოთქმა რომ გამოვიყენოთ, 49 მილიონის „გაიმასქნებაში“, რაც თავადაც ვერ უარყო), ის მაინც უნდა ხსომებოდა, რომ თეა წულუკიანმა, იუსტიციის მინისტრმა, პენიტენციურ სფეროში არაერთი, პატიმრებისთვის სასარგებლო რეფორმა განახორციელა, ხოლო მან, საპყრობილეში მყოფმა, ეს შეღავათები თავის თავზე გამოსცადა.

საკმარისად ხანდაზმული ვარ და არა მგონია, თბილისს კახა კალაძეზე უკეთესი, გამრჯე მერი ჰყოლოდეს. ახლო წარსულში მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავს (იტალიის "მილანში" ჩარიცხვა და მალდინის გვერდით თამაში, მასთან მეგობრობა, იოლი მისაღწევი როდი იყო), მერად არჩევისთანავე შეჰყეფეს სააკაშვილის გაწვრთვნილმა ნაგაზებმა და გულისგამაწვრილებელი ღაღვავი დღემდე გრძელდება. მახსოვს, იმ დღეებში, რომელიღაც სატელევიზიო არხზე გამოსულმა ვინმე კოტე იოსელიანმა (არ ვიცი, საიდან მოგვევლინა, რა საქმიანობას ეწევა) ბანდიტებისგან ძმამოკლულ ვაჟკაცს, უანგარო ქველმოქმედს, როყიოდ დაუწყო ლანძღვა და მექრთამეობა დააბრალა. ამითაც ჩანს, რომ ჩვენთან განმკითხავი, ცილისწამებაზე პასუხის მომთხოვნი, თითქმის არავინაა.

კახა კალაძე არ არის კაბინეტში გამოკეტილი მოხელე. მას მუდამ გულთან მიაქვს ხალხის გასაჭირი, სატკივარი; ხშირად ხვდება და ყურს უგდებს მოქალაქეებს. იაფფასიან პროვოკაციებს, ავისმოსურნეთა ლაქლაქს საქმით, მუხჩაუხრელი შრომით პასუხობს და ლაპარაკიც, მწყობრი მსჯელობა, ჩინებულად ეხერხება. გასახარია, რომ საამაყო, სახელგანთქმული სპორტსმენი, ბოლო წლებში ერთ-ერთ საუკეთესო სახელმწიფო მოღვაწედ ჩამოყალიბდა.

პრემიერ-მინისტრის გუნდში ასევე ძალზე წარმატებულია სანაქებო პროფესიონალიზმით, ცოდნით აღჭურვილი ნიჭიერი დიპლომატი, სულით ხორცამდე ინტელიგენტი, საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი. პანდემიის ურთულეს, არაადამიანურად დაძაბულ თვეებში, ჩვენი თავდადებული ექიმების მხარდამხარ, მან ბევრი სასარგებლო რამ გააკეთა – საზღვარგარეთ მყოფ ასობით თანამემამულეს, სამშობლოში დასაბრუნებლად, ქმედითი დახმარება გაუწია. ტვინგამოლაყებული, პროვოკატორთა მიერ მართული ბრბო მასაც, ჩიტაძის ქუჩაზე, სრულიად უსაფუძვლოდ, ხმაურიან აქციებს უწყობს, მაგრამ ამაოდ ლამობენ სწორი გეზიდან გადაახვევინონ. იგი, როგორც იტყვიან, ურყევად დგას ქვეყნის ინტერესების სადარაჯოზე, იღვწის საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტის ასამაღლებლად.

ცოტა ხნის წინ „ობიექტივის“ არხზე, საღამო ხანს, ერთ ფრიად საჩოთირო გადაცემას მოვუსმინე, რომელსაც ობიექტურობისა არაფერი ეცხო, შემაწუხებლად ტენდენციური გამოდგა. თმაწვერგაჭაღარავებული, საზოგადოებისთვის საკმაოდ ცნობილი პიროვნება (გვარს აღარ დავასახელებ) პროგრამის ახალგაზრდა წამყვანს, თავის თანამოაზრეს ესაუბრებოდა და ორნი, ერთ ხმაში, თათხავდნენ არჩევნებში გამარჯვებულ პარტიას. ჭარმაგმა მამაკაცმა რამდენჯერმე ხაზგასმულად თქვა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ „ნაცმოძრაობისგან“ დიდი ფული აიღო, ისინი ერთანეთთან შეთანხმებული, შეხმატკბილებული არიანო. რამდენად უნდა დაგიბნელოს ბოღმამ გონება, რომ ასეთი სისულელე ირწმუნო და თანაც, ეს ხმამაღლა განაცხადო.

იმევე ჭაღაროსანმა ისიც დაბეჯითებით გვაუწყა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ მის პარტიას, არც მეტი არც ნაკლები, 400 000 ამომრჩევლის ხმა მოპარა და მიითვისა. ეს იმდენად დაუჯერებელი ციფრი იყო, თვით წრეგადასული მეზღაპრის, ბარონ მიუნჰაუზენის ფანტასტიკურ მონათხრობშიც ვერ თავსდება.

ახალგაზრდა წამყვანი და სოლიდური ასაკის მოპასუხე, მთელი საეთერო დროის განმავლობაში დაუზოგავად ლანძღავდნენ ბიძინა ივანიშვილს, როგორც გამოუსწორებელ ოლიგარქსა და თანმიმდევრულ დიქტატორს. ტვინის ამღვრევის კულმინაცია, მწვერვალი იყო ის ადგილი, როცა ეგზალტირებულმა ჭაღაროსანმა უყოყმანოდ წამოიძახა - მიხეილ სააკაშვილსა და ბიძინა ივანიშვილს შორის ვერავითარ განსხვავებას ვერ ვხედავ, მე მას ბიძინა სააკაშვილი დავარქვიო. მერე ისიც დასძინა, მისი ქველმოქმედება ტყუილი, მოგონილიაო.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბიძინა ივანიშვილს ფული ფეტიშად არასოდეს გაუხდია - თავისი შემოსავლის მოზრდილი ნაწილი ძვეყნის გადაუდებელ საჭიროებებს, სულზე დადებული საძართველოს ორმოდან ამოყვანას მოახმარა. იმასაც ყველა თვალნათლივ ხედავს – ამ სწორუპოვარი ძველმოძმედის განუკითხავი ლანძღვა, წყევლაკრულვაც კი, ხელმოცარული პოლიტიკანების საფირმო ნიშანი გახდა.

ისიც შეუძლებელია არ გვიკვირდეს, რომ ამ კაცს, მადლიერების სანაცვლოდ, ბევრი ლაფს ასხამს, ტალახის გუნდას ესვრის (ცხადია, წუნწუხისგან თავად ისინი რჩებიან მოთუთხნულები) და იგი სრულიად დაუმსახურებელ შეურაცხყოფას დიდსულოვნად, ბიბლიური იობის მოთმინებით იტანს. არავისი დამონება, დამცირება არ ყოფილა მისი სურვილი და მიზანი. ყველა ჭეშმარიტი ქრისტიანის მსგავსად, ცხოვრების აზრად სიკეთის ქმნა და მსახურება გაიხადა, რასაც უმადურები სიავედ უთვლიან. ეს საქართველოს დიდი სირცხვილია, როგორ ექცეოდნენ და ექცევიან ზოგიერთები ერის გადასარჩენად დღედაღამ მლოცველ უწმინდეს კაცს, საქართველოს პატრიარქს, საიდუმლო არ გახლავთ და ამაზე აქ აღარას ვიტყვი.

ყველამ იცის, რა უღიმღამოდ, სამარცხვინოდ განვლო გიორგი მარგველაშვილმა პრეზიდენტობის წლები და როგორ გაუცრუა იმედები უამრავ ამომრჩეველს, ვერაფრით გაამართლა მისადმი გამოცხადებული ნდრობა. პრეზიდენტობის ვადის ამოწურვის მერეც, „მრავალფეროვანი სექსის მქონემ“, არაერთი ოდიოზური რამ წამოაყრანტალა.

მთლად თავისმომჭრელი იყო მისი ამასწინანდელი გამოსვლა ჟურნალისტების წინაშე. სასაცილოდ დაჭყეტილ თვალებსა და ციფერბლატივით მრგვალი სახის გამომეტყველებაზე ეტყობოდა, რა „სიბრძნესაც“ დააფრქვევდა. გამოცდილი ექსპერტივით ლაპარაკობდა საქართველოში არსებულ დიდ კრიზისზე. კრინტი არ დაუძრავს, ვინ და რამ გამოიწვია ეს კრიზისი და როყიოდ განაცხადა – არავითარი მნიშვნელობა არა აქვს არჩევნების შედეგებს, ხმების გადათვლას, ვინაიდან საშინელი კრიზისია, ვადამდელი არჩევნები სასწრაფოდ უნდა დაინიშნოსო. გამძვინვარებული პანდემიის პირობებში რა მოჰყვება ამ აბსურდულ, საზარალო მოთხოვნას, მას ოდნავადაც არ ანაღვლებს. ამის გაკეთება იგივე იქნებოდა – **დამწვარ ადამიანს ხელებზე მდუღარე გადაასხა. ნაპრეზიდენტალმა ერთ მიზეზად ისიც დაასახელა – ახლადელი პარლამენტი** ერთპარტიულიაო, თითქოს ამაშიც „ქართულ ოცნებას“ მიუძღოდეს ბრალი და ხელოვნურად არ იყოს მოწყობილ-შეთითხნილი!

წუთით დავუშვათ – საბოტაჟის მომწყობმა დესტრუქციულმა ძალებმა, „რევოლუციური გზით“ სახელმწიფო გადატრიალების მოწადინეებმა, მოიპოვეს თანხმობა ვადამდელ არჩევნებზე. ადვილი წარმოსადგენია, როგორ ჩაატარებენ ამ „არჩევნებს“ ნაცთა დაქიჩმაჩებული ლიდერები. უმწიკვლო პიროვნების, დარბაისელი ქალბატონის თამარ ჟვანიას ადგილას მაშინვე გაყალბებათა დიდოსტატს, ასხმარტალებულ, თვალებდაყვლეპილ ხათუნა გოგორიშვილს წამოასკუპებენ და ცესკო მთლიანად მათი მომხრეებით დაკომპლექტდება, ძველ ხარჯებს ახალი, გაუთვალისწინებელი ხარჯები დაემატება. ცხონებულმა თამაზ წივწივაძემ ამ ლაგამაწყვეტილ დედაკაცზე კარგა ხნის წინ ტყუილად როდი დაწერა – ეგ ისეთი ვინმეა, ხელების გარდა, ფეხებიც თუ არ გაუკავეთ, არჩევნებზე უბედურებას დაატრიალებსო. ამჟამადაც კუპრი ადუღდება, დაიწყება მკვლელობათა ახალი სერია, უთუოდ მოხდება სამოქალაქო დაპირისპირება, რასაც თავისი ვერაგული ბუნებით ასე ესწრაფვის და გეგმავს მშიშარა, გაქცეული ჯალათი მიხეილ სააკაშვილი. ჩვენი ისედაც დაუძლურებული ქვეყანა ასეთ საშინელებას ვეღარ გაუძლებს და მოკლე ხანში საქართველოს არსებობას წერტილი დაესმება. ამ ვარაუდში არაფერია მოგონილი, გადაჭარბებული. ყველა ნამდვილი ქართველი იოლად მიხვდება, რასაც მოგვიტანს უბნელესი კაცუნების, ნაცების მიერ ადრევე ნაცადი ავბედითი სცენარი.

მათ ხროვას სამართლიანად ეძახიან „მკვლელების პარტიას“ და ვინც არ უნდა მოინდომოს, ამის უარყოფას ვერ შეძლებს. არაკაცთა ჯალათური ძმედებების მამხილებელი ბევრზე ბევრი ფაქტი არსებობს. მარტო უსპეტაკესი პიროვნების, მეტად ნიჭიერი, ხალხის საყვარელი პოლიტიკოსის, კობა დავითაშვილის ჯაშუშური დევნა და მოკვდინება იკმარებდა, სააკაშვილისა და მისი სადისტი თანამზრახველებისთვის უვადო პატიმრობის მისასჯელად.

უკრაინელი ჟურნალისტების მოკვლევიდან ცხადად ჩანს, რომ სააკაშვილი თბილისში „მესამე მეიდნის“ მოწყობას აპირებდა, მაგრამ მზაკვრული განაზრახი ჩაეფუშა და გაცოფებულია. საქმეში ტყუილად არ ამოტივტივდა, აგრეთვე, მასთან ადრე დანაშაულებრივად გადაფსკვნილი, მრავალ საძრახ საქციელში მხილებული ჭიაბერაშვილის სახელი, ვინაც საარჩევნო ხმების გაყალბებაში შენიღბულად მონაწილეობდა. მათი ერთობლივი შავბნელი ქმედებანი, იმედია, მალე იქნება გამოტანილი სააშკარაოზე.

„ნაცების“ ავად აწრიალებულ ლიდერებს როცა უყურებ, ასე გეგონება, იერონიმ ბოსხის „ჯოჯოხეთიდან“ გადმოცოცდნენ. გიგა ბოკერია, ყოველი გამოჩენისას, ისე ტრაგიკულად, თვალების ხამხამით გადააქანებს ხოლმე თავკისერს, იფიქრებ, სული ეხუთებაო. გამუდმებით ივანიშვილის მიერ დამყარებულ „დიქტატორულ რეჟიმზე“ მოსთქვამს, ვითომ თვითონ არ იყო სააკაშვილის მარჯვენა ხელი და მისი მართლაც დესპოტური, ყოველგვარი სისაძაგლის ჩამდენი რეჟიმის თანამონაწილე. იგიც, სხვების მსგავსად, „ჩემი შენ გითხარის“ დემაგოგიური დევიზით ცდილობს საკუთარ დანაშაულთა დაფარვას.

სხვადასხვა ფინანსურ მაქინაციებში გარეულ, ცესკოზე ხელოვნურად აღზნებული ბრბოს შტურმის ორგანიზატორ ნიკა მელიას დაცეცებულ თვალებზე, გამოხედვაზე ეტყობა, მთლად დალაგებული ჭკუისა რომ არ გახლავთ; მისი ადგილი პოლიტიკაში, წესიერ საზოგადოებაში არ მოიძებნება. იმჟამინდელი საშინელების, ბარბაროსული სცენების მერე, ნაცთა ლიდერები ურცხვად გამოთქვამდნენ პროტესტს – აგრესიულ მოიერიშეებზე, რკინის ჯებირის დამლეწავებზე წყლის ჭავლი რატომ მიუშვესო. თავად რას ჩაიდენდნენ ასეთ შემთხვევაში, ცხადზე უცხადესია. მამაც პოლიციელებს, რომლებმაც სიცოცხლის რისკის ფასად დაიცვეს ალყაში მოქცეული შენობა, სულ „ხელისუფლების მონები“ უძახეს. ისეთი შეგრძნება მაქვს –მეფე პოეტმა თეიმურაზ მეორემ, პატარა კახის მამამ, ნაცებისგან გმირად შერაცხილ ნიკა მელიას უძღვნა ეს სტრიქონი: „ზაკვით გვეფიცა, მიგვინდო, იგ კაცი იყო მელია..“

რაღა არ ხდება ამ ცოდვილ ქვეყანაზე.

ბევრად უფრო ამაზრზენი სახილველი და მოსასმენია მეორე ნიკა, გვარამია, „შავად შემოსილი“ რომ დაიკვანწება აბრიალებული იუპიტერების წინ და გარეგნულად გაქუცულ აფთარს წაგავს. იმდენად არის გათავხედებული და გაზულუქებული (დიდძალი ქონება აქვს დაგროვილი, რასაც ჩქმალავს) უცხოელი ელჩების აღვირახსნილ ლანძღვა-გინებასაც აღარ ერიდება, როგორ თუ 31 ოქტომბრის არჩევნები ლეგიტიმურად ჩათვალესო. პრესამ მის აქოთებულ ტელევიზიას მახვილგონივრულად უწოდა „საკანალიზაციო არხი“, საიდანაც მხოლოდ სიმყრალე, უწმინდურობა და ტოტალური სიცრუე მოედინება.

გულზე მომეფონება ხოლმე, როცა სააკაშვილის სისხლიანი, ფაშისტური რეჟიმის დაუნდობლად მამხილებელი, ჩვენი გამოჩენილი რეჟისორის, გოგა ხაინდრავას გამოსვლებს ვუსმენ. ასვე სიამოვნებით ვისმენ დიდად ნიჭიერ ისტორიკოსს სოსო მანჯავიძეს, ვინაც 2008 წლის აგვისტოში ავანტურულად დაწყებული ომის უმძიმესი შედეგები დეტალურად გააანალიზა; უტყუარი ფაქტები მოიხმო და ცხადყო, ვინც იყო სინამდვილეში საქართველოს დამღუპველი ამ ოპერაციის დამგეგმავი.

საქმეში ჩახედული სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ რუსეთმა დაკარგა ძველი, სტალინისდროინდელი ეპოქის ძლიერება, მაგრამ შერჩენილი აქვს სხვათა მიწების მიტაცება-მითვისების აგრესია, რაც საბჭოთა კავშირის დაშლის მერე, ყველამ საკუთარ ზურგზე გამოვცადეთ.

გამოჩენილი რუსი ფილოსოფოსი ნიკოლაი ბერდიაევი, რომანოვების ტახტის დამხობის შემდეგ, მეოცე საუკუნის ოციან წლებში წერდა – დრო შეიცვალა, ამიერიდან იმპერიას ხიშტითა და ძალადობით ვერავინ შექმნის, სხვადასხვა ხალხების ერთად ცხოვრება მაშინ იქნება შესაძლებელი და გამართლებული, თუ ამას რომელიმე ერი სიყვარულით ისურვებს. ეს ჭეშმარიტება, სამწუხაროდ, პუტინის რუსეთს დღემდე არ გაულევ ტოლსტოიმ, ვისთვისაც ადამიანის სიცოცხლე ყველაფერზე ძვირფასი იყო, თავისი სიცოცხლის მიწურულს, სასასტიკის, დაუნდობლობის წინააღმდეგ გამოაქვეყნა მრისხანებით აღსავსე წერილი „არ ძალმიძს ვდუმდე!“, რომელმაც მთელი უზარმაზარი იმპერია შეაზანზარა.

ყველა წესიერი ქართველი მოვალეა, ხმა აიმაღლოს უსინდისობის, ძალმომრეობის, დაპირისაირების, განუკითხავი ხოცვა-ჟლეტის, სიცრუის ასალაგმავად. ჩემთვის, უკიდურეს ცაიტნოტში მყოფისათვის, ამ არცთუ სასიამოვნოდ წასაკითხ პუბლიცისტურ წერილზე გარჯას აჯობებდა, საკუთარი ლიტერატურული საქმიანობისთვის მიმეხედა, მაგრამ, როგორც ხშირად დამმართნია, გულმა არ მომითმინა!..



ემზარ კვიტაიშვილი,
25 დეკემბერი, 2020 წელი.

ცხოვრება საუკუნის მხარდამხარ!

100 წელი შეუსრულდა ქართველი საინჟინრო ინტელიგენციის ღირსეულ წარმომადგენელს, ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, დიდი მეგობრობის, სიკეთის, ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობისთვის თავდადებულ ადამიანს, ბატონ ადერკი კოპლატაძეს.

100 წელი! – რა ამაყად სათქმელი თარიღია. ეს წლები არა მარტო ბატონი ადერკის, არამედ ერის სიმდიდრეცაა, დატვირთული კეთილ საქმეთა კეთების სურვილით, ფასდაუდებელი შრომით, უდიდესი პასუხისმგებლობით, სიდარბაისლით, ეროვნულობით, ჰარმონიულად შერწყმული ადამიანური ღირებულებებით.

სწორედ მასზე შეიძლება ითქვას – მისაბაძი ცხოვრებისეული წესითა და საქმიანობით, ღირსეულად მოიხადა მამულიშვილური ვალი ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

ბატონ ადერკის კარგად იცნობენ ჩვენს საზოგადოებაში, განსაკუთრებით აჭარაში: ბათუმი ხომ მისი მოქალაქედ და მოღვაწედ ჩამოყალიბების ქალაქია.

მან ცხოვრების მეტად საგულისყურო შინაარსიანი გზა განვლო: იგი 16 წელი ედგა სათავეში პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტს და, მართლაც რომ საგულისხმო წვლილი მიუძღვის ამ ქალაქის განვითარებაში, მის კეთილმოწყობასა და კიდევ უფრო გალამაზებაში.

ბატონი ადერკი გულწრფელად ამბობს:

„მადლიერი ვარ ჩემი განვლილი ცხოვრებით, იმიტომ, რომ უმეტესი ნაწილი იმ პირებისა, რომლებთანაც მე მქონია საქმიანი ურთიერთობა, ჭეშმარიტი მეგობრები იყვნენ, გამოირჩეოდნენ სულიერი სიწმინდით, სიკეთით, ერთგულებით, კეთილშობილებით. მათი მიზანი ერთი იყო – კარგი საქმე ეკეთებინათ ხალხის სასარგებლოდ“.

ზღვისპირა ქალაქის წარმატებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის, ბატონ ადერკი კოპლატაძეს **„ბათუმის საპატიო მოქალაქის“** წოდება მიენიჭა.

იგი ათეული წლების განმავლობაში იყო როგორც აჭარის მმართველობაში, ასევე რესპუბლიკის დარგობრივი უწყების ხელმძღვანელობაში, სადაც აგრეთვე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა.

გამორჩეული პიროვნების ღვაწლი ჯეროვნად დაფასდა სახელმწიფოს მიერ: მიღებული აქვს **„ღირსების ორდენი“** და სხვა ჯილდოები, მაგრამ ყველაზე დიდი ჯილდო, რაც მას დაუმსახურებია, არის უამრავი ადამიანის პატივისცემა და სიყვარული, რაც ესოდენ დიდ ხიბლს მატებს მის პიროვნებას.

ბატონი ადერკი კოპლატაძის ბიოგრაფიას სილამაზეს მატებს შესანიშნავი ოჯახი: სახელოვანი შვილები, ირაკლი და ნანა, შვილიშვილები: თორნიკე, გიორგი და ერეკლე, მოსიყვარულე, ერთგულ ადამიანთა დიდი წრე. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ნახევარ საუკუნეზე მეტი, მას მხარს უმშვენებდა ჭეშმარიტად ღირსეული ქალბატონი, მისი მეუღლე.

გულწრფელად გვიხარია და გვეამაყება ბატონი ადერკის გვერდით საქმიანობა – 2000 წლიდან, მის მიერ დაარსებულ და წარმართულ საქართველოს პენსიონერთა კავშირის გამგეობაში. აქაც შესამჩნევი გახდა მისი ორგანიზატორული უნარი: წლების მანძილზე, მისი უშუალო თაოსნობითა და ხელმძღვანელობით, პენსიონერებს გაუუმჯობესდათ სოციალურ-ეკონომიკური პირობები და ზნეობრივი მდგომარეობა, ასეულობით პენსიონერი და ხანდაზმული ჩაება საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ჩატარდა უამრავი მასშტაბური ღონისძიება, რაც მაღალი სოციალურ-კულტურული ღირებულებებით გამოირჩეოდა.

უდიდესი პატივისცემით ვულოცავთ ბატონ ადერკი კოპლატაძეს დაბადების დღეს – 100 წლის იუბილეს! ჯანმრთელობას ვუსურვებთ და ვაიმედებთ, რომ ჩვენც ვეცდებით მისი დანატოვარი ორგანიზაცია წარმატების გზით ვატაროთ.

საქართველოს პენსიონერთა კავშირის გამგეობა.
2020 წლის 27 დეკემბერი

ბედნიერება ჩვენზეა დამოკიდებული!

საახალწლო მილოცვა სრულიად საქართველოს

განვლილ წელს თავჩენილი უჩვეულო განსაცდელით ეგებება მთელი მსოფლიო ახალ, 2021 წლის დადგომას.

„აქტიურ პენსიონერთა საერთაშორისო ალიანსი „არიერგარდი“ იმედით და სასიკეთო ცვლილებების მოლოდინით ულოცავს ახალ წელს სრულიად საქართველოს – ყველა ეროვნების, ეთნოსისა და რწმენის თანამოქალაქეს, უცხოეთში მცხოვრებ ემიგრანტებს, ჩვენს აფხაზ და ოს ძმებსა და დებს, შინ და გარეთ მშვიდობის სადარაჯოზე მდგარ ჩვენს ჯარისკაცებს, მედიცინის მუშაკებს, რომლებმაც ჭეშმარიტად სამოქალაქო გმირობა გამოიჩინეს პანდემიის ჟამს, დაუნდობელ ბრძოლაში, პოლიციელებს, მეცნიერების, განათლების, კულტურის, სპორტის სამყაროს წარმომადგენლებს, საჯარო მოხელეებს, მეწარმეებს, მოსწავლე-ახალგაზრდობას, სტუდენტებს, შრომისა და ომის ვეტერანებს.

პრემიერ-მინისტრის გიორგი გვახარიას სიტყვებით რომ ვთქვათ: **„საქართველო ისტორიულად იდგა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე, მაგრამ, ჩვენი ტრადიციებით, მიზანდასახულობით, თავისუფლებისადმი მუდმივი სწრაფვით და ერის გონიერებით – ჩვენ შევინარჩუნეთ ჩვენი უნიკალური კულტურული იდენტობა“.**

ეჭვიც არ გვეპარება, რომ ერთად დგომით, კვლავაც რწმენით გავალთ სამშვიდობოს, სიკეთით და სიყვარულით გავაძლიერებთ ერთმანეთს და ქვეყანას, შევქმნით უკეთეს მომავალს. როგორც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე გვმოძღვრავს: **„უნდა გვახსოვდეს, ბედნიერება ბევრად დამოკიდებულია ჩვენზე“.**

ახალი გამოწვევები მოითხოვს ახლებურად, უკეთ შევიცნოთ ჩვენი თავი და ეროვნული ღირსებები. დიდი ბიძგია, როცა მსოფლიო აღიარებს რა შემოქმედებითი ენერგია დევს ჩვენს პატარა ერში.

რადგან ბოროტის გაძლიერებით ასე იმძლავრა უარყოფითმა ემოციებმა, უნდა შევძლოთ და ვიცხოვროთ ისე, როგორც ეს ეკადრება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის შვილებს. დიახ, დროა დავასრულოთ ჟამი უკადრისი სიძულვილისა და ერთობით მოვიაახლოთ ჟამი სიყვარულისა.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ახალ წელს! ჯანმრთელობას და ბედნიერებას გისურვებთ თითოეულს და სრულიად საქართველოს. ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი. გავუფრთხილდეთ ერთმანეთს!

„აქტიურ პენსიონერთა საერთაშორისო ალიანსი „არიერგარდი“

საქართველო რუსეთის დამარცხების მოლოდინშია!

აგვისტოს ომი სტრასბურგის სასამართლოში

ოკუპირებული **თამარაშენიდან დევნილი დათო ძაძამია დედასთან ერთად დიდი იმედით ელოდება სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებას 2008 წლის აგვისტოს ომის საქმეზე — „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ“. თუკი 21 იანვარს სასამართლოს დიდი პალატა საქართველოსთვის სასურველ გადაწყვეტილებას გამოაცხადებს, გზა სტრასბურგში უკვე დათო ძაძამიას ოჯახის ინდივიდუალურ საჩივარსაც გაეხსნება. რუსეთს საქართველომ ერთხელ უკვე მოუგო სტრასბურგის სასამართლოში. რადიო თავისუფლებამ გაარკვია, რომ სახელმწიფოსგან განსხვავებით, ინდივიდუალური წესით მოსარჩელეებმა საკომპენსაციო თანხაც მიიღეს.**

ცხინვალის ჩრდილოეთით მდებარე ქართული სოფელი თამარაშენი 2008 წლის აგვისტოში ოსმა და რუსმა სამხედროებმა მიწასთან გაასწორეს. დათო ძაძამიამ და მისმა დედამ, ვალია აიდარაშვილმა სოფელი 11 აგვისტოს დატოვეს და სულ მალე ტყვედ ცხინვალის იზოლატორში აღმოჩნდნენ.

როგორც დათო ძაძამიამ უთხრა რადიო თავისუფლებას, 18 დღე გაუსაძლის პირობებში, წამებაში გაატარა. დედა ცოტა უფრო ადრე გაუშვეს.

„მე და დედაჩემი თამარაშენიდან როცა გამოვედით, იქ უკვე აღარავინ იყო დარჩენილი... შემოვლითი გზით მივედით სოფელ აჩაბეთში. იქ სხვადასხვა სოფლებიდან მოგროვილი ხალხი დაგვხვდა... ამბობდნენ — ერთად რომ მოვგროვდებით, ვითომ შეიძლება ხელი არ გვახლონ და გაგვიშვანო... მაგრამ არა, ოსებმა ყველანი წაგვიყვანეს ცხინვალის იზოლატორში, სადაც რუსი სამხედროებიც დაგვხვდნენ...

ვერ აღგიწერთ, ეს რა იყო, რა სიტუაციაში ვიყავით — ყოველდღე გვცემდნენ გამეტებით... ცხინვალის ქუჩებში ქართველი სამხედროების გვამებს გვაგროვებინებდნენ, სპეციალურად გათხრილ ორმოსთან რომ მიგვეტანა... მერე ზოგიერთი ფოტოებზეც ამოვიცანით და გადმოასვენეს კიდეც წლების მერე... გვამუშავებდნენ საშინლად, ქუჩებსაც გვაგვევინებდნენ. რა ვიცი, რას აღარ გვაკეთებინებდნენ.

გვშიოდა, საჭმელი არ იყო, დასალევ წყალს არ გვაძლევდნენ... ხელების დაბანაზე აღარ ვამბობ. მიწისქვეშა ოთახში ვიყავით ყველანი... მერე თანდათან მეტი ხალხი მოიყვანეს, ბევრი მოხუციც იყო, სოფლებში შემორჩენილები... უჭაერობა იყო საშინელი. შუქი არ იყო.

მჯერა, რომ 21 იანვარს, სტრასბურგში საქართველო მოიგებს და მერე ჩვენც მოვიგებთ — ჩვენი ინდივიდუალური სარჩელებით... მჯერა... რა ვიცი, მჯერა, რომ სიმართლე გაიმარჯვებს“.

დათო ძაძამია და დედამისი რუსეთზე სამართლებრივ გამარჯვებას უკვე 12 წელია ელოდებიან. სხვების მსგავსად, საჩივრები მათაც ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ მოამზადებინა. 350 ადამიანის ისტორია, დარღვევების მიხედვით — 53 საჩივარშია გაერთიანებული. მითითებულია, მაგალითად, შემდეგი სახის დარღვევები: **სიცოცხლის უფლების დარღვევა; წამება; მონური შრომა თუ პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლების ხელყოფა.**

როგორც საია-ს წარმომადგენელი, ნინო ჯომარჯიძე ეუბნება რადიო თავისუფლებას, ის ფაქტი, რომ რუსეთის წინააღმდეგ სახელმწიფოთაშორისი საჩივარიც არის შეტანილი, ინდივიდუალურ პირებს დამოუკიდებლად მოქმედების უფლებას არ ართმევს. თუმცა, სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკით, ინდივიდუალური საჩივრები ყოველთვის სახელმწიფოთაშორისი საჩივრის განხილვას ელოდებიან:

„პირველ რიგში, სასამართლო განიხილავს სახელმწიფოთშორის საჩივარს და როცა გადაწყვეტილება იქნება, უკვე ამის შემდეგ იწყებს ინდივიდუალური საჩივრების განხილვას. ასე იყო რუსეთიდან დეპორტირებულთა საქმეების შემთხვევაშიც“.

იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, აგვისტოს ომის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება ევროპულმა სასამართლომ 21 იანვარს უნდა გამოაცხადოს. ლაპარაკია საჩივარზე, რომელიც, სასამართლოს ოფიციალური ვებსაიტის თანახმად, 2008 წლის 11 აგვისტოს შევიდა; პირველი სხდომა 2011 წლის სექტემბერში გაიმართა; დიდ პალატას საქმე 2012 წლის აპრილში გადაეცა; მოწმეებს სასამართლოში მოუსმინეს 2016 წლის ივნისში; ხოლო ბოლო განხილვა 2018 წლის მაისში შედგა.

- **საქართველო რუსეთს ევროპული კონვენციის 8 მუხლის დარღვევაში ადანაშაულებს და ესენია:**
- **სიცოცხლის უფლება (მე-2 მუხლი);**
- **წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა (მე-3 მუხლი);**
- **თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება (მე-5 მუხლი);**
- **პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება (მე-8 მუხლი);**
- **სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება (მე-13 მუხლი);**
- **საკუთრების დაცვა (1 დამატებითი ოქმის 1 მუხლი);**
- **განათლების უფლება (1 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი);**
- **მიმოსვლის თავისუფლება (მე-4 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი).**

იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, „სხვადასხვა დროს სტრასბურგის სასამართლოს საქართველოს მხრიდან წარედგინა 700-მდე მტკიცებულება (მათ შორის, ვიდეო და ფოტომასალები, რადარის მონაცემები, ექსპერტის დასკვნები, სამეთვალყურეო კამერის ჩანაწერები, სეისმური სადგურის მიერ აფეთქებების დამადასტურებელი ჩანაწერები, მოწმეთა ჩვენებები, სატელიტური სურათები, მედიის მასალები, საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები, სატელეფონო მიყურადების ჩანაწერები, განაღმვის ანგარიშები, გორში აფეთქებული „ისკანდერის“ ნაწილები და მათზე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნები და სხვ.) და არაერთი დოკუმენტი შესაბამისი ანალიზითა და არგუმენტებით“.

ამ საქმეზე კომპენსაციის საკითხი სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსზე იქნება დამოკიდებული.

სტრასბურგის სასამართლოში საქართველომ რუსეთის წინააღმდეგ ერთხელ უკვე გაიმარჯვა — 2006 წელს რუსეთიდან დეპორტირებული საქართველოს მოქალაქეების საქმესთან დაკავშირებით.

- **ამ საქმის სახელმწიფოთაშორის საჩივარზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილება 2014 წელს გამოაცხადა; ხოლო 2019 წლის იანვარში - რუსეთის ფედერაციას 10 მილიონი ევროს გადახდაც დაეკისრა.**
- **დეპორტირებულთა ინდივიდუალურ საჩივრებზე სასამართლოს გადაწყვეტილება 2016 წელს გამოცხადდა; ხოლო მათი კომპენსაციის საკითხი 2019 წლის მარტში გადაწყდა.**
- **სტრასბურგის სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებით, 10 მილიონი ევრო სულ მცირე 1500 დაზარალებულზე უნდა გადანაწილდეს. ვადა 2019 წლის აპრილში ამოიწურა, მაგრამ ეს თანხა რუსეთს საქართველოსთვის ჯერ ისევ არ გადაუხდია.**

სამაგიეროდ, როგორც რადიო თავისუფლებამ გაარკვია, საქართველოს სახელმწიფოსგან განსხვავებით, კომპენსაციები უკვე მიიღეს იმ დაზარალებულებმა, რომლებმაც დეპორტაციის საქმეზე რუსეთს ინდივიდუალური წესით უჩივლეს.

ეს ფაქტი რადიო თავისუფლებას 24 დეკემბერს ერთ-ერთმა დაზარალებულმა დავით ლაცაბიძემაც დაუდასტურა. მის შემთხვევაში საკომპენსაციო თანხა — 12 500 ევროს შეადგენდა. ევროპულმა სასამართლომ დაადასტურა, რომ დარღვეული იყო კონვენციის ოთხი მუხლი და, მათ შორის, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა.

დავით ლაცაბიძის ინტერესებსაც საია იცავდა. ნინო ჯომარჯიძემ გვითხრა, რომ დეპორტაციის საქმეზე ორგანიზაცია ადვოკატირებას უწევდა 13 დაზარალებულს, თუმცა ერთმა შემდეგ პროცესის გაგრძელებაზე უარი თქვა.

რაც შეეხება რუსეთის მიერ საქართველოს სახელმწიფოსთვის 10 მილიონი ევროს გადახდას; როგორც იუსტიციის სამინისტროში უთხრეს რადიო თავისუფლებას, ეს საკითხი კვლავაც რჩება სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებების მაკონტროლებელი სტრუქტურის — ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის ყურადღების ცენტრში.

სამინისტროს ინფორმაციით:

- **დეკემბერის სხდომაზე კომიტეტმა მიიღო შუალედური რეზოლუცია, სადაც კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი რუსეთისთვის დაკისრებული ვალდებულების შესრულების აუცილებლობას;**
- **კომიტეტმა შეშფოთება გამოთქვა, რომ რუსეთი დღემდე არ ასრულებს გადახდის უპირობო ვალდებულებას;**
- **შუალედური რეზოლუციის მიხედვით, რუსეთის მთავრობამ კონკრეტული შედეგით 2021 წლის 1 თებერვლამდე უნდა დაასრულოს მხარეთა შორის მიმდინარე კონსულტაციები.**

სამინისტროში შედეგის იმედი აქვთ, რადგან წინა სხდომებისგან განსხვავებით, მათი თქმით, დეკემბრის სხდომაზე რუსეთი აღარ ამბობდა უარს თანხის გადახდაზე და ამის ნაცვლად ჩაერთო კონსულტაციებში, „რათა კომპენსაციის გადასახდელად ისარგებლოს ევროპის საბჭოს შუამავლობით“.

ლელა კუნჭულია,
რადიო „თავისუფლების“ ჟურნალისტი 2000 წლიდან.

ევროკავშირმა პანდემიის საწინააღმდეგო ვაქცინა მიიღო

ევროკავშირის ქვეყნებმა „კოვიდ-19“-ის საწინააღმდეგო ვაქცინის დოზები მიიღეს. ამის შესახებ ევროკომისიის პრეზიდენტმა, ურსულა ფონ დერ ლაიენმა ვიდეო მიმართვისას განაცხადა.

„დღეს მიწოდების დღეა და ხვალ ევროკავშირის მასშტაბით ვაქცინაციები დაიწყება. ვაქცინა ყველა ქვეყნისთვის ერთდროულად გახდა ხელმისაწვდომი. ადამიანები მიიღებენ ვაქცინას ათენში, რომში, ჰელსინკში, სოფიაში, ყველგან. ჩვენი ევროპის ვაქცინაციის დღეები ერთიანობის ამაღელვებელი მომენტი და ევროპის წარმატების ისტორიაა. ძალიან მალე ჩვენ კიდევ მეტი ვაქცინა გვექნება, მას შემდეგ, რაც მათი უსაფრთხოება და ეფექტურობა დამტკიცდება. ევროკავშირმა საკმარისი რაოდენობით ვაქცინის დოზები შეიძინა, რათა ჩვენი მთლიანი მოსახლეობის 450 მილიონი ადამიანის ვაქცინაცია შევძლოთ“, — აცხადებს ფონ დერ ლაიენი.

ვაქცინა ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს!

მე ვთხოვ ყველას, სახელმწიფოების მეთაურებს, კომპანიებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს, ხელი შეუწყონ თანამშრომლობას და არა კონკურენციას, რათა გამოსავალი ყველასთვის იპოვონ — ვაქცინები ყველასთვის — განსაკუთრებით ყველაზე მოწყვლადი და გაჭირვებული პირებისთვის პლანეტის ყველა ნაწილში. ყველაზე დაუცველები და გაჭირვებულები პირველები უნდა იყვნენ, — განაცხადა რომის პაპმა ფრანცისკენ ტრადიციულ საშობაო გზავნილში.

პაპი ფრანცისკეს განცხადებით, ისტორიის ამ მომენტში, ეკოლოგიური კრიზისის, მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სოციალური დისბალანსის ფონზე, რომელიც კორონავირუსის პანდემიამ მხოლოდ გააუარესა, კიდევ უფრო მეტად მნიშვნელოვანია, ერთმანეთი დებად და ძმებად მივიღოთ.



მისი თქმით, კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. პაპმა ასევე აღნიშნა, რომ ჯანმრთელობა არის საერთაშორისო საკითხი და ეგრეთ წოდებული „ვაქცინის ნაციონალიზმი“ გააკრიტიკა. **რომის პაპმა სირიაში, იემენში, ლიბიაში, მთიან ყარაბაღში, სამხრეთ სუდანში, ნიგერიაში, კამერუნსა და ერაყში მშვიდობის დამყარებაზეც გააკეთა მოწოდება.**

„ღვთისდამღიანი კალმის მფლობელი!..“

ცნობილი მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, საგამომცემლო საქმის ნიჭიერი ორგანიზატორი, პროფესორი ემენ დავითაძე 1947 წლის 16 დეკემბერს ხულოს რაიონის (შემდგომში შუახევის რაიონი) სოფელ გოგაძეებში, ავთანდილ დავითაძის ოჯახში. მამა ცნობილი ფინანსისტი, ერთ-ერთ მსხვილ სახელმწიფო სტრუქტურის შესაბამის სამსახურს განაგებდა, დედა – კეთილშობილებით გამორჩეული, სტუმართმოყვარე ქალბატონი, ფატი დავითაძე, შვილების აღზრდით და საოჯახო საქმეებით იყო დაკავებული.

ე. დავითაძე სოფლის დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს ხულოს საშუალო სკოლა-ინტერნატში, 1968-1972 წლებში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის სპეციალობის წარჩინებული სტუდენტია.

პირველი სამეცნიერო ნათლობა ჯერ კიდევ უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში მიიღო. მისმა სადიპლომო ნაშრომმა – „გაზეთი „ფუხარა და მისი წინამორბედნი“ სპეციალისტთა მაღალი შეფასება დაიმსახურა და შემდგომში წიგნადაც გამოიცა.

უნივერსიტეტის წარმატებით დასრულების შემდეგ სამეცნიერო საქმიანობას ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტის ფოლკლორისა და დიალექტოლოგიის განყოფილებაში აგრძელებს, როგორც უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი. 1975 წლიდან კი, თითქმის ორი ათეული წელი დაჰყო გამომცემლობა „საბჭოთა აჭარის“ რედაქციაში და გაიარა გზა რიგითი რედაქტორიდან გამომცემლობის დირექტორობამდე. 1993 წლიდან ხელმძღვანელობს წიგნის კოოპერატივებს „კოცონს“ და ერთი პირის საწარმო „MN“-ს, პარალელურად კითხულობს ლექციებს „გონიოს“ კოოპერაციულ ინსტიტუტსა და თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტ „გორგასალში“. 2011 წლიდან კი საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორია.

ემენ დავითაძემ 1979 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ფოლკლორისტიკის დარგში, არის ფილოლოგიის დოქტორი.

1979 წლიდან იყო საქართველოს მწერალთა კავშირის, ხოლო 2000 წლიდან საქართველოს მწერალთა საერთო-ეროვნული კავშირის წევრია, 2002 წელს აირჩიეს ფაზისის საერო აკადემიის აკადემიკოსად.

ემენ დავითაძე მრავალმხრივი შემოქმედია. მისი ნაშრომ-ნაღვაწი მოიცავს სამეცნიერო გამოკვლევებს, პუბლიცისტურ წერილებს, თარგმანებს, პოეზიას, პროზას, რომლებიც, მისსავე გამოთქმას რომ დავესესხოთ, „დაბინავებულია“ 40-მდე წიგნში.

ბატონმა ემენმა მყარად დაიმკვიდრა ადგილი გამოჩენილ ქართველ ფოლკლორისტთა რიგებში. როგორც ცნობილი მეცნიერის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, პროფესორ რამაზ სურმანიძის ე. დავითაძის 65 წლისათავისადმი მიძღვნილ საიუბილეო მილოცვაში ვკითხულობთ, **„...ბევრი ოფლი ღვარა ჩვენი ფოლკლორის სიღრმეებში ჩასაწვდომად და ბევრი მარგალიტიც გამოამზეურა“**. მან საფუძვლიანად შეისწავლა აჭარული შაირები, გამოავლინა ამ ჟანრის მხატვრულ-ესთეტიკური ბუნება და საქართველოს ამ განუმეორებელი რეგიტონის თავისებურებანი.

ბატონი ემენის ღვაწლი ქართულ ფოლკლორისტიკაში მხოლოდ სამეცნიერო კვლევა-ძიებით როდი შემოიფარგლება. ის, იმავე დროს, ხალხური შემოქმედების შემკრები და ჩინებული პოპულარიზატორია. მან საქვეყნოდ წარმოაჩინა აჭარის სახალხო მთქმელთა შემოქმედება კრებულში „ჩამოთქვი, ჩემო ჩონგურო“. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ შედგენილი „აჭარის სახალხო მელექსეთა ანთოლოგიაძ. ამ წიგნისთვის ავტორი ღირსების ორდენით დაჯილდოვდა.

ბატონი ემენი ერთ-ერთი გზამკვლევია ისტორიული სამხრეთ საქართველოს ეთნოგრაფიული ყოფის, კულტურის, ზეპირსიტყვიერების შესწავლისა და გამომზეურების საშვილიშვილო საქმეში. მან ფეხდაფეხ შემოიარა ტაო-კლარჯეთი, შეისწავლა იქ არსებული ქართული ძეგლები, ხელოვნების დიადი ნიმუშები და თავისი დაკვირვებები, ცოცხალი შთაბეჭდილებები დააუნჯა წიგნში „გოდებანი“. ეს წიგნი გაქრობის პირას მისულ ძეგლთა მხატვრულ-სიტყვიერი პორტრეტია. მწერალი და მეცნიერი ასევე ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც მიჰყვა ქართული მიწებიდან „ამგზავრებული“ და მთელს თურქეთში გაბნეული გურჯ-მუჰაჯირების ნაკვალევს, სარფიდან ვიდრე სინოპსა და სამსუნამდე. ამ ძიების შედეგად შექმნა მან ორიგინალური წიგნი **„საგვარეულო გზამკვლევი“, რომლითაც აქეთურ ქართველობას საშუალება მისცა სცოდნოდა იქეთურ ნათესავთა დღევანდელი ადგილსამყოფელი.**

ისტორიულ საქართველოში მოგზაურობისას თუ ჩვენებურებთან საქართველოში შეხვედრების დროს ის კრებდა ხალხური შემოქმედების ნიმუშებს, თქმულებაგადმოცემებს, ლექს-სიმღერებს და მათში გამოხატული ნოსტალგია, სამშობლოსგან მოწყვეტის გამო, სამზეოზე გამოჰქონდა. შემთხვევითი არც ის არის, რომ სწორედ ბატონმა ემენმა თურქულიდან თარგმნა და გამოსცა ქართული წარმოშობის მწერლის, ისმაილ ყარას (შავიშვილის), დოკუმენტური რომანი „მაჭახლის უღელტეხილი“, რომელშიც ჩვენებურთა ყოფა-ცხოვრებაა აღწერილი.

ემენ დავითაძემ ქართული სულიერი კულტურა გამდიდრა არა მარტო მის მიერ სამხრეთ საქართველოში შეგროვებულ-გამომზეურებული ფოლკლორული ნიმუშებით, ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი სურათებით, არამედ ორიგინალურ-მხატვრული შემოქმედებითაც, რომლის დედაძარღვს, მთავარ შემოქმედებით პათოსს სწორედ სამხრეთ საქართველოს ტრაგიკული ისტორიისა და თანამედროვე ყოფის განცდა წარმოადგენს. ამიტომ სწორად შენიშნავენ, რომ „აჭარის – საქართველოს ამ ძირუძველესი კუთხის ფოლკლორის, ეთნოგრაფიის, კულტურის, ტრადიციის და ბოლოს ისტორიის ამსახველი ბევრი ისეთი ნიმუში, ფაქტი და თემაა თავმოყრილი, რაც აქამდე მწერლური ენით ასე მასშტაბურად არ გაჟღერებულა და მხატვრული, განსაკუთრებით ეპიკურ-პოეტური სიტყვის ფაქტად არ ქცეულა“...

ცნობილი პოეტი, მეცნიერი, და საზოგადო მოღვაწე, პროფესორი შოთა ზოიძე მოხდენილად შენიშნავს, რომ **„ემენ დავითაძე აკვნიდან პოეტი, ღვთისდამღიანი კალმის მფლობელია“**. მართლაც, სიყმაწვილისას, ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის დროს, იქმნება და პერიოდულად პრესაში ქვეყნდება კიდეც მომავალში სახელოვანი მწერლის ლირიკული სტრიქონები, რომლებიც მკითხველის მოწონებას იმსახურებს.

1969 წელს სრულიად ახალგაზრდა, 22 წლის პოეტი აქვეყნებს პირველ პოეტური კრებულს „გზა მშვიდობისა“. წიგნი მაშინვე კრიტიკოსთა ყურადღებას იპყრობს თავისი თვითმყოფადი და ორიგინალური ხელწერით. პირველ კრებულს მოჰყვა ლირიკული ციკლები: „თეთრი მიხაკები“, „დაწყვეტილი სიმები“, „სატრფიალო ლექსები“, „ღია ბარათები“, „მწიფე ლექსები“, „ორქიდეები“. ავტორის ლირიკულ მედიტაციებში ერთმანეთს ორგანულად ერწყმის ღრმა ემოცია და სამოქალაქო მოტივები.

ემენ დავითაძის სამწერლო ტალანტი სრულად წარმოჩდა ლირიკაში, მაგრამ ავტორის ფართო განათლება, ჩვენი ქვეყნის წარსულის სიღრმისეული ცოდნა, უნიკალური ალღო, ინტუიცია ეპიკური განსახოვნების მასშტაბს ითხოვდა და მწერალი აქაც გამოირჩა ორიგინალური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მანერითა და სტილით. ამ გზაზე მან ძველ, ტრადიციულ, მაგრამ უკვე მივიწყებულ ჟანრს, პოემას, მიმართა. არჩევანმა გაამართლა. აი, რას ვკითხულობთ პოეტის 65 წლისთავისადმი მიძღვნილ საქართველოს მწერალთა კავშირის საიუბილეო მილოცვაში: **„თქვენ ხელმეორედ გააცოცხლეთ თითქმის მივიწყებული ეპიკური პოეტური ჟანრი და თქვენი ისტორიული პოემებით თანმიმდევრულად, პოეტურ სიტყვაში მოაქციეთ ზოგადქართული და აჭარის ისტორია, ხოლო „უფაბულო პოემები“ – დღევანდელი დაცალცალკევებული საქართველოს გაერთმთლიანებისკენ პოეტის მამულიშვილური მოწოდება, წარსულსა თუ აწმყოში დაკარგული ქართული მიწების გამოხსნა-შემომტკიცებისთვის მებრძოლი პოეტური მონოლოგებია“**.

ქართველი კრიტიკოსები ერთხმად მიუთითებენ, რომ ემენ დავითაძე ერთნაირი წარმატებით იღვწის, როგორც პოეზიაში, ისე პროზაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი „სოფლის აღმაშენებელის“, რამდენიმე წიგნი, რომელშიც თანმიმდევრულად, დიდი ოსტატობით დაუნჯებულია ჩვენი ძირუძველესი კუთხის, აჭარის და ტაოკლარჯეთის ისტორია. ექვსტომეულმა მწერალს საოცარი პოპულარობა, საქვეყნო სახელი და აღიარება მოუტანა. ამავე წიგნისთვის მიენიჭა მას საქართველოს სახელმწიფო პრემია.

მკითხველის დიდი ინტერესი გამოიწვია, აგრეთვე, ე. დავითაძის წიგნმა „ხათიბი – ჩემი წინაპარი“, რომელიც ავტორის თანამოკალმეებმა „სიბრძნის პროზად“ შერაცხეს. ამ წიგნში ავტორმა შექმნა და ზოგადქართულ ლიტერატურულ სახეებს შეჰმატა ბრძენი, მებრძოლი და მუყაითი აჭარელი კაცის ზოგადი სახე.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ბატონი ემენის საჯარო გამოსვლები, ორატორული ხელოვნების ნიჭი. მწერალს თავისი მჭერმეტყველებით, ენამზეობით არაერთგზის მოუხიბლავს და დაუტყვევებია მსმენელი.

ემენ დავითაძე შრომისმოყვარე, ნიჭიერი და, იმავე დროს, სამართლიანი და პრინციპული შემოქმედია, არასოდეს ყოფილა დროების მსახური, კარის მეხოტბე, ყოველთვის უკომპრომისოდ გამოხატავდა თავის სამოქალაქო პოზიციას. მისი ცხოვრების კრედო იყო და დღემდე რჩება უბრალოება, ობიექტურობა, კეთილსინდისიერება.

თანამედროვე ქართულ ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, ბატონი ემენის დამსახურება აღინიშნა არაერთი პრემიითა და ჯილდოთი, მათ შორის: საქართველოს სახელმწიფო, აბუსერისძე ტბელის, მემედ აბაშიძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას სახელმწიფო ლიტერატურული პრემიებით.

ბატონ ემენს თბილი, ქართულ ტრადიციებზე დაფუძნებული ოჯახი აქვს, მეუღლე, ნარგიზ ქათამაძე, მედიცინის სფეროს დამსახურებული თანამშრომელი (ექთანი), ხუთი შვილის დედა და საუცხოო დიასახლისია. უფროსი ქალიშვილი, თამილა დავითაძე, პროფესიით ფილოლოგი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, არაერთი მონოგრაფიის, სახელმძღვანელოს და სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, ნათია და ანა, ფილოლოგები, გერმანული და ინგლისური ენების სპეციალისტები არიან. უფროსი ვაჟი – ვახტანგი, იურისტი, ხოლო უმცროსი – თენგიზი, მეზღვაურია. ემენ დავითაძეს ჰყავს 7 შვილიშვილი.

ჩვენს უღალატო ცნობილ პოეტს, მწერალს, პუბლიცისტს, მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, ემენ დავითაძეს გულითადად ვულოცავთ ასე შთამბეჭდავად მოვარგებულ ცხოვრების განვლილ წლებს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სულიერ მხნეობას და ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

მრავალ ახალ წელს, ჩვენო სასიქადულო მამულიშვილო!

ანზორ თავართქილაძე,
ელგუჯა მაკარაძე,
ბათუმი, 2020 წ.

ქობულეთური კერძები ახალ ვიდეორგოლში

აჭარული სამზარეულოს საიმიჯო რგოლის შემდეგ ონლაინ სივრცეში, უკვე ქობულეთური სამზარეულოს ვიდეორგოლი გამოჩნდა. კლიპი, რომელშიც ამ კუთხისთვის დამახასიათებელი უგემრიელესი კერძები და დესერტია წარმოჩენილი, აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა ქობულეთური სამზარეულოს პოპულარიზაციის მიზნით გადაიღო.

როგორც აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი იუწყება, რგოლში წარმოდგენილი კერძები – მაჯუნი, იახნი და აჩმა ცნობილმა შეფმზარეულმა მიშა ავსაჯანაშვილმა ადგილობრივ მზარეულ როინ ფაღავასთან ერთად მოამზადა. მათივე ინფორმაციით, ვიდეოგადაღებები ქობულეთის სოფელ ლეღვაში, 170 წლის სახლის ეზოში, ულამაზეს გარემოში მიმდინარეობდა.

„ქობულეთური სამზარეულოს შესახებ, ასევე მომზადდა ვიდეოგაკვეთილები და ფოტორეცეპტები, სადაც მზარეულებმა კერძების, როგორც ტრადიციული ისე თანამედროვე ვარიაციები წარმოადგინეს. საიმიჯო რგოლების, ვიდეოგაკვეთილების, ფოტორეცეპტების, ისევე როგორც აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული ტრენინგ-სემინარების, ნახვა მსურველებს სერვისების ახალ ონლაინპლატფორმაზე იანვრიდან შეეძლებათ.

პროექტზე აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის დაკვეთით ქართული სამზარეულოს, ქართული კულინარიის განვითარებისა და პოპულარიზაციის ასოციაციამ იმუშავა. ვიდეორგოლი სარეკლამო კომპანიამ „რედპოინტი“ გადაიღო, მუსიკა კი ჯგუფმა „ინსაითი“ სპეციალურად ვიდერგოლისთვის დაწერა“, – ნათქვამია განცხადებაში.

◎ სეზონის ფინიშზე

ტიტული ტიტულია!

ახალ წელს შესანიშნავი განწყობით ხვდება ქართველ მოჭადრაკე მანდილოსანთა ლიდერი, ფიდეს რეიტინგის მე-8 ნომერი ნანა ძაგნიძე, რომელმაც „მონტე კარლოს“ შემადგენლობაში სწრაფ თამაშში ევროპის ქალთა ონლაინ საკლუბო ჩემპიონატი მოიგო.

42 გუნდის მონაწილეობით გამართულ სეზონის დასკვნით ტურნირში ჩვენებურმა დიდოსტატმა პარტნიორებთან – ალექსანდრა გორიაჩკინასთან (რუსეთი), პია კრამლინგთან (შვედეთი), ელიზაბეტ პეტცთან (გერმანია) და მონიკა სოჩოსთან (პოლონეთი) ერთად (კაპიტანი – ელმირა სკრიპჩენკო) 18 შესაძლებლობიდან 14 ქულას მოუყარა თავი და ოქროს მედალი მოიპოვა.

დასანანია, რომ სახელოვან თანამემამულეს ღირსეულად ვერ აუბეს მხარი თბილისის საერთაშორისო აკადემიის აღსაზრდელებმა (ლილე ქორიძე, თამარ ესაძე, ეკატერინე ფიფია, ნია დოღვანი, დიანა ლომაია, კაპიტანი – დავით ჯოჯუა), რომლებმაც „დ“ ჯგუფში 9 მეტოქესთან დავაში 8 ქულით მე-4 ადგილი დაიკავეს და ფინალური ეტაპის საგზურს ვერ დაეუფლნენ.

რაც შეეხება **ლელა ჯავახიშვილისა** და **მერი არაბიძის** გერმანულ კლუბ „შვაბიშ ჰალეს“, მართალია, მან მომავალ ტრიუმფატორს 3:1 მოუგო, მაგრამ დასკვნითი რაუნდის სხვა შეხვედრებში სუსტად გამოიყურებოდა და საბოლოოდ 6 ქულით მე-10 ადგილი დაიკავა.

ბეჭან დოლიძე

◎ პროგრესი

ტრავმების მიუხედავად

ნოემბრის ბაშოზე მიღწეულმა დადებითმა ბალანსმა (9 მოგება, 6 წაგება) ტრავმებით გაწამებულ ლევან გორგაძეს საშუალება მისცა მიმავალი სეზონის შემაჯამებელ რეიტინგში (ბანძუკე) საგრძნობლად დაწინაურებულიყო და 2021 წელს აღმოსავლეთის მე-7 მაეგაშირას სტატუსით შეხვედროდა.

შეგახსენებთ, რომ იმპერატორის თასის 2018 წლის მფლობელ ტოჩინოშინს ზურგს სუმოისტთა მექაში გამართულ 87 ტურნირში გამოსვლის გამოცდილება უმაგრებს, საიდანაც 67 უმაღლეს დივიზიონს უკავშირდება. გაისად პირველი ბაშო ტოკიოში იანვარში მოეწყობა.

კობა კობახიძე

◎ ლეგიონერი

ვალერი გაზაევი:

„რუსეთს ხვიჩა კვარაცხელიას დონის ტალანტი არ ჰყავს“

ცნობილმა მწვრთნელმა ვალერი გაზაევმა განაცხადა, რომ რუსეთის პრემიერლიგაში ხვიჩა კვარაცხელიას დონის იქაური ტალანტები არ თამაშობენ. როგორც მან Sport-express-თან საუბარში აღნიშნა, ასეთ ფეხბურთელებს ამჟამად ჩემპიონატში ვერ ხედავს.

„წელს, სამწუხაროდ, ძნელია რომელიმე რუსი ტალანტის გამორჩევა. არავინ არის ისეთი, ვინც თავის ასაკში თავი ისე მკაფიოდ დაიმკვიდრა, როგორც ადრე არშავინმა, კერჟაკოვმა, ჟირკოვმა, ძმებმა ბერეზუცკებმა, ძაგოევმა, მამაევმა, კოკორინმა და ა.შ. ვის შეუძლია მაღალ დონეზე თამაში 18-19 წლის ასაკში ისე, როგორც ქართველ კვარაცხელიას? ვერ ვხედავ ვინმეს, რომლის შესახებაც შემიძლია ვთქვა: ეს არის ჩვენი ფეხბურთის მომავალი და ეს სამწუხაროა“, – თქვა გაზაევმა.

რუსეთის ჩემპიონატში ამჟამად პაუზაა და იგი თებერვლის ბოლოს განახლდება.

არანაკლებ საგულისხმოდ გვესახება შემდეგი სტრიქონებიც:

გამოცემა Sovsports-მა რუსეთის პრემიერლიგაში 9 ფეხბურთელი გამოარჩია, რომლებმაც, მიმდინარე სეზონიდან გამომდინარე, იმაზე უკეთესი რანგის გუნდებში გადასვლა დაიმსახურეს, ვიდრე ახლა თამაშობენ.

ჩამონათვალში ერთ-ერთი ხვიჩა კვარაცხელიაა, რომელიც ყაზანის „რუბინის“ ღირსებას იცავს და „სოვეტსკი სპორტის“ სტატიაში მასზე ნათქვამია, რომ „ზენიტს“ გააძლიერებდა...

„ადამიანი, რომელსაც რეკლამა არ სჭირდება. „ლოკომოტივში“ გადასვლის დღიდან ყველას სმენია ქართველი გარემარბის შესახებ. რკინიგზელთა სპორტული დირექტორის მოადგილის ანდრეი ლოსიუკის შემდეგი განმარტება მისი კვალიფიკაციის საუკეთესო აღწერაა:

„ხვიჩა ერთ-ერთი კაშკარა დრიბლიორია (საშუალოდ თამაშში 3.6, ჩემპიონატის საუკეთესო მაჩვენებელია) და ყველაზე არასტანდარტული მოთამაშე რუსეთის პრემიერლიგაში. რაც მას ჯერ კიდევ აკლია, შედეგიანობაა. 16 მატჩში მხოლოდ 2 გატანილი ბურთი და 2 საგოლე პასი ამას ადასტურებს, მაგრამ ასაკთან და უფრო მაღალკვალიფიციურ თანაგუნდელებთან ერთად ამაში აუცილებლად უნდა მოუმატოს.

კვარაცხელიათი უკვე დაინტერესდნენ იტალიური კლუბები – „ტორინო“, „უდინეზე“ და „სასუოლო“, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ჯერ მისთვის უცხოეთში წასვლა ნაადრევია. თუმცა, „ზენიტი“, რომელიც მარცხენა ნახევარმცველს ვერ პოულობს, იდეალური იქნებოდა“, – წერია იქვე.

შეგახსენებთ, ხვიჩა კვარაცხელიას თათრეთის გუნდთან კონტრაქტი 2024 წლის 30 ივნისამდე აკავშირებს. ქართველი გასულ სეზონში რუსეთის პრემიერლიგის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად დაასახელეს, მიმდინარე სეზონში კი 16 თამაშში თავი 2 გოლით, 2 შედეგიანი პასითა და 3-ჯერ მოპოვებული პენალტით გამოიჩინა.

გიორგი ზოთაძე

◎ 30 წლის წინათ

გილოცავთ, კოლეგებო!

ვამბობთ სარბიელებს, ვგულისხმობთ ლელოელთა სასახელო ტრადიციების ღირსეულ გამგრძელებლებს. დიახ, ქართულ სპორტულ პრესაში ძველი გვარდიისგან ესტაფეტა საკუთარი ორიგინალური ხელწერით გამორჩეულმა ახალგაზრდა გვარდიამ აიტაცა.

ეს 1990 წლის 28 დეკემბერს მოხდა, როცა ჰაერში დენთის სუნი ხრიალებდა და საყოველთაო ქაოსი გვიახლოვდებოდა. მაშინ გაზეთ „სარბიელის“ დაბადება საზოგადოებისთვის ჟანგბადის ბალიშის მიწოდებას უტოლდებოდა – პროფესიონალთა მიერ ნათქვამი მართალი სიტყვა ხომ ყოველთვის ძვირად ფასობს.

მას შემდეგ, რომ იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა, უკვე წლებია, კიოსკებსა და ჯიხურებში ეს პოპულარული გამოცემა აღარ იყიდება, მაგრამ, დარწმუნებულნი ვართ, ეს დროებითი პაუზაა და მალე კოლეგებს ფრონტის წინახაზზე დაბრუნებას მივულოცავთ.

ისე, ისინი არსად წასულან – ინტერნეტჟურნალს უშვებენ და კვლავაც საყვარელ საქმეს ემსახურებიან, უბრალოდ, მათაც და ჩვენც ნაცნობი ლოგო გვენატრება.

მრავალჟამიერ, ბიჭებო!

„სრ“ სპორტის რედაქცია

◎ კურიოზი

ნეტავ, მეტჯერ...

ლეო მესის მიერ ერთ გუნდში თამაშის განმავლობაში გატანილი ბურთების რაოდენობით პელეს ერთი შეხედვით მიუწვდომელი რეკორდის ამასწინანდელ დამხობას (644 გოლი) ერთ-ერთი ლუდის კომპანიისგან მყისიერი გამოხმაურება მოჰყვა.

კერძოდ, ყველა მეკარე, ვინც „ბარსელონას“ არგენტინელმა ვარსკვლავმა დაამწუხრა, ახალი წლის აღსანიშნავად პრიზის სახით ზუსტი დარტყმების შესაბამისი მოცულობის ბოთლებს მიიღებს. ამ მხრივ, ყველაზე მეტად დიეგო არიასს გაუმართლა, რომელიც ჯერ „ალმერიას“, ხოლო შემდეგ „ვალენსიას“ სპორტულ ღირსებას იცავდა და 21-ჯერ მოუხდა ბურთის ბადიდან გამოტანა.

რაც შეეხება კლუბებს, კურიოზია, მაგრამ ფაქტია – კატალონიელთა ლიდერს პრიმერა – დივიზიონის გრანდები უფრო ჰყავს დაბრიყვებული, ვიდრე მაჩანჩალები: „სევილია“ – 37, „ატლეტიკო“ – 32, „ვალენსია“ – 29, „რეალი“ – 26 და „ესპანიოლი“ – 25-ჯერ.

ვიტალი ჭაფარიძე

◎ მეკვლედ

მოლდოვადან - „ინტერში“

ამჟამად თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო აკადემიის 38 წლის მწვრთნელი ლადო ახალაია ქვეყნის უძლიერეს გუნდში მაშინ თამაშობდა, როცა მან ხორვატი ივო შუშაკის თავკაცობით დსთ-ს ჩემპიონთა თასი მოიგო და სადაც გიორგი ანჩაბაძე, უმცროსი ვიტალი დარასელია, ლადო ბურდული და რატი ალექსიძე ბრწყინავდნენ.

შემდეგ იყო ეროვნული ნაკრები, „ციურიხი“, კიშინიოვის „ზიმბრუ“ და სწორედ მოლდოვაში, აღნიშნული კლუბის დამრიგებელ ალექსანდრ სპირიდონის ქალიშვილთან შექმნა კიდეც ოჯახი...

დღეს უმცროს ლადო ახალაიას წარმოგიდგენთ, რომელიც დნესტრისპირა სახელმწიფოს მოქალაქე:ა და როგორც იქაური ასაკობრივი, ისე ახალგაზრდული ნაკრებების ღირსებაც დაუცავს. მამის მსგავსად, ისიც თავდამსხმელია და მოლდოვის ეროვნულ ნაკრებში თამაშზე ოცნებობს, მანამდე კი 18 წლის უნიჭიერესმა ჭაბუკმა პირველი პროფესიული კონტრაქტი მილანის „ინტერთან“ გააფორმა.

იგი იტალიური გრანდის აკადემიაში ორწლიანი აპენინური „მოთელვისა“ და ადაპტაციის შემდეგ შარშან იანვარში ჩაირიცხა, მისი 19 წლამდელთა გუნდის წევრია და კვირაში ორჯერ „ნერაძურის“ ძირითად შემადგენლობასთან ერთადაც ვარჯიშობს. არგენტინელი ბომბარდირი თანაკლუბელის – ლაუტარო მარტინესის თაყვანისმცემელმა შარშან გოლები **„რომასა“** და **„რეალის“** თანატოლებთან შეხვედრებში გაიტანა, რაც, დაგვთანხმებით, საგულისხმო ფაქტია.

რაც შეეხება ქართულ ფესვებს, უფროს ლადო ახალაიას მოვუსმინოთ: **„სხვათა შორის, ერთ დროს საქართველოს მოქალაქეობის მიღება სურდა, რაც მიზეზთა გამო ვერ მოხერხდა. რასაკვირველია, მე მინდა, რომ ისტორიული სამშობლოს სახელით ითამაშოს, მაგრამ პატარა ბავშვი აღარ არის და თვითონ მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. ისე, რომ იცოდეთ, მისით მოლდოვის გარდა, რუმინეთის ნაკრებიცაა დაინტერესებული. მოკლედ, ვიმეორებ: მართალია, ქართული ენა დაავიწყდა, მაგრამ, ვიმედოვნებ, ჩვენი სახელით ითამაშებს!“**

გიორგი ზოთაძე

◎ საახალწლო შეძახილი



ხმა ამოიღეთ, მდიდრებო!

ამ დღეებში გაზეთებში პანდემიით გამოწვეულ მძიმე ცხოვრებისეულ გასაჭირს რომ ვეცნობოდი, „საქართველოს რესპუბლიკაში“ ფრიად საინტერესო სტატიას გადავაწყდი. „დავიცვათ ადამიანი“ — ამ სათაურით გამოქვეყნებულ წერილში მისი ავტორი, ჩემი ძველი მეგობარი ბრიგოლ შონია, მისთვის ჩვეული გულითადობით იცავდა დღევანდელ საზოგადოებაში გაუგებარი მიზეზით რატომღაც ღირსებადაკარგული მდიდრების პრესტიჟსა და ავტორიტეტს.

„მე მჯერა, — წერს ბატონი გრიგოლი, — რომ ჩვენი დროის მდიდარ ადამიანებს — მილიონერებს თუ მილიარდერებს — კი არ უნდა ეშინოდეთ თავიანთი დაგროვილი სიმდიდრის გამო, ისინიც და მათ გვერდით ყველა ჩვენგანიც უნდა ვამაყობდეთ მათი სიმდიდრით“. მისი აზრით, არ უნდა დავუპირისპირდეთ ადამიანს თავისი სიმდიდრის გამო, როგორც ეს ხდებოდა კომუნისტური რეჟიმის წლებში, თუ ეს სიმდიდრე დანაშაულებრივი გზით არაა მოპოვებული თუ მოხვეჭილი. დღეს გამდიდრება დიდი შრომით, დიდი რუდუნებით თუ შეიძლება, რაც ყველასთვის როდია მიღწევადი და, მოდით, ნუ ვიქნებით შურიანები.

აგაშენა ღმერთმა, გავიფიქრე ჩემთვის. ძლივს არ გამოჩნდა ამქვეყნად მდიდრების მოყვარული, მათ ლხინსა თუ ჭირში თანამდგომი კაცი? და აქვე გამახსენდა ამ რამდენიმე წლის წინათ ამავე გაზეთში გამოქვეყნებული ჩემი წერილი „დაჩაგრულები“, რომელშიც ღიად, დაუფარავად ვამბობდი, რომ იმ ურჯულო კომუნისტური მმართველობის ხანაში ყველას ყვალაფრის უფლება ჰქონდა, აი მდიდრები კი უმოწყალოდ დაჩაგრულები იყვნენ.

არაფერს ვაჭარბებ, კომუნისტებმა მდიდრებს სოციალური თავმოყვარეობა შეულახეს. მათ არამც თუ არ შეეძლოთ ეტრაბახათ თავიანთი ქონება-სიმდიდრით, არამედ, საერთოდ გამოეჩინათ. ამიტომ სულ მალავდნენ და ჩქმალავდნენ... ფული ჰქონდათ და ვერაფერს ყიდულობდნენ, ოქრო ჰქონდათ და მიწაში ფლავდნენ. რას იზამ, ასეთი იყო კომუნიზმის მშენებლობის ლოგიკა — ყველას თანაბარ პირობებში, სიღარიბეში უნდა ეცხოვრა.

ეს მაშინ, მაგრამ რა ხდება დღეს?

დღეს სულ სხვა ცხოვრება წამოვიდა. როგორც იქნა, კომუნიზმს თავი დავაღწიეთ და დემოკრატიულ საქართველოს ვაშენებთ, რომელსაც უყვარს მდიდრები და არ უყვარს ღარიბები. შექმნილია პირობები, როცა ყოველ ადამიანს, იქნება ის მეწარმე, დეპუტატი თუ ჟურნალისტი, მინისტრი თუ პრეზიდენტის ნათესავი, შეუძლია ჩადგეს ბიზნეში, ოფლით თუ უოფლოდ დააგროვოს ქონება, მილიონები თუ მილიარდები, აიშენოს ოფისები და სასახლეები. თუმცა, ამის მიუხედავად, რაც უნდა პარადოქსულად მოგვეჩვენოს, ქვეყანაში ღარიბების აბსოლუტური უმრავლესობა კვლავაც ჩაგრავს მდიდრების აბსოლუტურ უმცირესობას.

იკითხავთ, როგორ და რანაირადო? როგორ ხდება, რომ ქვეყანაში ვალებით გაძეძგილი ღარიბ-ღატაკნი თავმომწონედ გამოიყურებიან, ფულებით მოყირჭებული მდიდრები კი თავჩაქინდრულან? საქმე ის გახლავთ, რომ მდიდრებმა ვერც მწყაზარი დემოკრატიის პირობებში მიაღწიეს მათი წილი პატივისა და ღირსების აღიარებას, ღარიბებს ყველაფრის უფლება აქვთ — აქციების მოწყობის, ქუჩების გადაკეტვის, ხელისუფლების გადაყენების, ხელფასებისა და პენსიების გაზრდის მოთხოვნის, მდიდრებს კი — არაფრის. მათ იმის გამბედაობაც კი არ ჰყოფნით, დეკლარაციაში გულწრფელად აჩვენონ, რა ქონების პატრონი არიან. ძველიდან შემორჩენილი შიშის სინდრომი „რა იცი, რა მოხდება?!“ მათ ამის უფლებას არ აძლევს.

ამიტომაც მდიდრები იძულებული არიან, დიდი საქვეყნო და საბიზნესო საქმეები დამუნჯებულებმა აკეთონ, მშენებარე თუ უკვე აგებული სასახლეები სხვის სახელზე გააფორმონ, სიდედრ-სიმამრის „მერსედესებით“ და „პრადოებით“ იშლიგინონ, რესტორნებში ქეიფისას მხოლოდ ხმადაბლა იღიღინონ. ერთადერთი პრემია-დანამატებს იღებენ ღიად და გამჭვირვალედ და ამდენი ლანძღვა-გინებით ლამის ისიც ყელში ამოადინონ.

ასეთ საქართველოში მდიდრებს ისე ეშინიათ საკუთარი სიმდიდრისა, როგორც ტაიგაში ირმების გუნდს კვალში ჩამდგარი ნადირისა. ერთადერთი კაცი ქვეყანაში, ვისაც საკუთარი ფულისა არ ეშინია, ბიძინა ივანიშვილია. მან თავის დროზე ბიზნესში ნაშოვნი მილიარდები არა მარტო საჯაროდ გადმოალაგა, არ შეშინდა და იქიდან 3 მილიარდზე მეტი ქველმოქმედებას — ეკლესიების მშენებლობას, კულტურის ძეგლების დაცვა-განახლებას, აბასთუმნისა და წყალტუბოს აღდგენა-რეაბილიტაციას, საერთაშორისო საუნივერსიტეტო ქალაქის გახსნას, დიდი გაჭირვების წლებში ერის სახელოვანი შვილების დაპურება-გადარჩენას მოახმარა. დაუფასდა კიდეც, „ქართულად დაუფასდა“ — მათგან, ვინც უგანა, კარგად გააძღო და მსუყე ადგილზე დასვა, მარჩენალს სამაგიერო ლანძღვა-გინებით გადაუხადა. აღარაფერს ვამბობ ქვეყნის დამაქცევარ სააკოვებსა და ქარაფშუტა ნათელაშვილებზე, რომლებსაც თავი გმირებად წარმოუდგენიათ, ხოლო ივანიშვილი რუს ოლიგარქად, რომელმაც მთელი საქართველო საკუთარ ხუშტურებს ანაცვალა...

ბიძინა ივანიშვილი გაჩუმებულია, როგორც სავსე თავთავს შეეფერება, მუდამ ჩაფიქრებული და თავდახრილია, თავყელყელა ძაღლთაპირმა ნაცებმა და ნაცლეკვებმა კი ყმუილ-წკავწკავით ლამის ქვეყანა გააყრუონ. ასეთ ვითარებაში გამოსავლად მეჩვენება ახლად არჩეულმა პარლამენტმა მიიღოს ისეთი კანონი, რომელიც მდიდართა უფლებებს გარანტირებულად დაიცავს. მით უფრო, რომ პარლამენტშიც მოიძებნებიან მილიონერები, რომლებიც ამ კანონის წყალობით გულს დაიმშვიდებენ. აბა როგორ, ბოლოს და ბოლოს მდიდრები როდემდე შეიძლება იყონ ენაგადაყლაპულნი?!



ახლა საახალწლოდ მაინც ამოიღეთ ხმა მდიდრებო!

ოთარ ხუციშვილი

მე-11 ბატალიონმა წვრთნები დაასრულა

ვაზიანში, საბრძოლო მომზადების ცენტრში საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის (GDRP-T) მე-7 როტაციის დახურვის ცერემონიალი გაიმართა. საქართველოს თავდაცვის ძალების აღმოსავლეთის სარდლობის პირველი ქვეითი ბრიგადის მე-11 ბატალიონის პირად შემადგენლობას თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილემ, ბრიგადის გენერალმა ირაკლი ჭიჭინაძემ მიმართა და სწავლების წარმატებით დასრულება მიულოცა.

სამხედრო სწავლების პერიოდში მე-11 ქვეითი ბატალიონის პირადმა შემადგენლობამ ასეულისა და ბატალიონის დონეზე რეალურ საბრძოლო ვითარებასთან მაქსიმალურად მიახლოებულ გარემოში, დღისა და ღამის პირობებში სხვადასხვა მნიშვნელოვანი სწავლება გაიარა. წვრთნები ქვედანაყოფების მიერ ამოცანით მართვის პირობებში ბრძოლის შესაძლებლობაზე იყო ორიენტირებული.

ახალი ავტობუსები ქუთაისს

ურბანული ტრანსპორტის განვითარების პროგრამის ფარგლებში, ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, 6 ქალაქისთვის განკუთვნილი 175 ავტობუსიდან 36 ერთეული EURO 5-ის სტანდარტის ავტობუსი ქალაქ ქუთაისს უკვე გადასცა.

ამ ეტაპისთვის, ქუთაისს, ჯამში, გადაეცა 50 მგზავრზე გათვლილი 30 ახალი ავტობუსი და 83 მგზავრზე გათვლილი 6 ახალი ავტობუსი. ყველა სატრანსპორტო საშუალება სრულად ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. ყველა ახალი ავტობუსი ჩაერთვება ქალაქის სატრანსპორტო ქსელში და ჩაანაცვლებს ქუთაისში ყველაზე დატვირთულ მარშრუტებზე მოძრავ ავტობუსებს. პროგრამის ფარგლებში, პირველი 10 ერთეული ავტობუსი ქალაქ ქუთაისს 19 ნოემბერს გადაეცა.

სანთელი

პაპუნა ნემსაძე



ბედობა გამორჩეულად გიყვარდა — 2 იანვარი ხომ დიელოს დაბადების დღეა, ყველაზე რომ გადაყოლილი გახლდათ, მაგრამ შენ მაზლად კი არა, უმცროს ძმად მიაჩნდი და, ეტყობა, მისი უანგარო ამაგის გამოძახილი იყო, განსაკუთრებით რომ უფრთხილდებოდით ერთმანეთთან ურთიერთობას.

სანათესავოს დაუვიწყარ შეკრებებად ქცეულ აღნიშნულ თარიღზე მთელი ტომის დაწერა შეიძლება, მაგრამ ამჯერად მხოლოდ უფლის იმ ნების ხაზის გასმით უნდა შემოვიფარგლოთ, შარშან სწორედ 2 იანვარს რომ გახდი უკვდავების ბინადარი.

შემთხვევით ხომ არაფერი ხდება.

კიდევ კარგი, კორონავირუსის პანდემიასა და მის თანმდევ ტრაგედიებს ვერ მოესწროო — ეს სიტყვებიც არაერთხელ ითქვა განვლილი წლის განმავლობაში.

მართლაც, ადვილი შესაძლებელია, შენს სათუთ გულს არსთა გამრიგის მიერ მოვლენილი ასეთი განსაცდელისთვის ვერ გაეძლო.

სიყვარულით დავიწყეთ და პაპუნა ნემსაძის გახსენებას ამ მარადიული გრძნობისადმი მიძღვნილი სტრიქონებითვე დავასრულებთ: ბედნიერები არიან შენი ერთგული ცხოვრებისეული მეგობარი ხათუნა, თქვენი სამაგალითო სიყვარულის ნაყოფი — ნინო და მარი თავიანთი ძვირფასი ოჯახებით, ორი საფიცარი ძმის დაკარგვით სიბერეგამწარებული ლალი, მთელი საახლობლო, ასეთ ბურჯად რომ ეგულებოდი.

ნათელი და სანთელი, პაპუნ!

გია პლატონიშვილი

გარდაიცვალა ჯულიეტა ვაშაყმაძე

ცნობილი ტელეწამყვანი ჯულიეტა ვაშაყმაძე გარდაიცვალა. ჯულიეტა ვაშაყმაძე საქართველოს პირველ არხზე ტელევიზიის დაარსების დღიდან, 1956 წლის 30 დეკემბრიდან მუშაობდა, ჯერ დიქტორად, ხოლო 1968 წლიდან ტელეკომენტატორად. სხვადასხვა დროს მიჰყავდა საინფორმაციო, თეატრალური, კულტურული, სოციალური და სხვა სახის ტელეგადაცემები.

2013 წლის 30 დეკემბერს, ტელევიზიის დაარსების 57 წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს პირველმა არხმა მთაწმინდის პარკში, თბილისის ანძის სიახლოვეს ლეგენდარულ ტელეწამყვანს საპატიო ვარსკვლავი გაუხსნა.

რეჟიმმა უკვე შეიწირა 16 ადამიანის სიცოცხლე

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი თეა ახვლედიანი აცხადებს, რომ ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობას კვლავ არ ეძლევა გადაუდებელი სამედიცინო დახმარებით სარგებლობის უფლება.

„სამწუხაროდ, ამ დრომდე სრულიად ჩაკეტილი და ხელოვნურად იზოლირებული რჩება ცხინვალის რეგიონი. უკვე ერთ წელიწადზე მეტია, რაც დაკეტილია ახალგორის მიმართულებით ე.წ. გადასასვლელი პუნქტი და ადგილობრივ მოსახლეობას აკრძალული აქვს თავისუფალი გადაადგილების უფლება. საუბედუროდ, ამ რეჟიმმა უკვე შეიწირა 16 ადამიანის სიცოცხლე, რომელთაც არ მიეცათ გადაუდებელი სამედიცინო დახმარებით სარგებლობის უფლება ან რეაგირება უკვე დაგვიანებული იყო. ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებზე საქართველოს დელეგაციამ მთელი სიმწვავით დააყენა ადგილობრივი მოსახლეობის მძიმე ჰუმანიტარული მდგომარეობისა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე დარჩენილი ქართველების ეთნიკური დისკრიმინაციის საკითხი. ჩვენ ვაგრძელებთ ამ მიმართულებით მუშაობას, საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად“, — განაცხადა ახვლედიანმა.

ამოღებულია ნახევარ კილომდე ნარკოტიკი

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, თბილისში 1981 წელს დაბადებული ს.მ. დააკავეს.

სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკები: ნახევარ კილომდე „ალფა პვპ“, ასევე, „ბუპრენორფინის“ შემცველი ნარკოტიკული საშუალება ნივთმტკიცების სახით ამოიღეს. ბრალდებული ნარკოტიკულ საშუალება „ალფა პვპ“-ს, შენიღბვის მიზნით, ქალის კოსმეტიკური საშუალებების კოლოფებში ინახავდა. დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გილოცავთ!

ჭუმბურიძემია საგვარეულო კავშირის წევრებისა და მშობლიური ბოსლევიდან ბიძაშვილებისა და მეზობლების სახელით ულამაზეს, გულთბილ ქალბატონს, დიდი ტკივილის მატარებელს, მაგრამ მაინც ღიმილმოსილ დედას, დამსახურებულ და გულისხმიერ ექიმს, გვარის მშვენებას, ბარელაძეების სასიქადულო რძალს

ლია ჭუმბურიძეს

ვულოცავთ შობა-ახალ წელს.

ჩვენო საყვარელო ლია, 2020 წელი თქვენთვის საიუბილეო იყო. ათწლეულების განმავლობაში სანიმუშოდ იღვაწეთ ადამიანთა სიცოცხლის გახანგრძლივება-გადასარჩენად. ამიტომაც საუკუნემდე დარჩენილი ათი წელიც ჩვეული გამძლეობით და სიხარულით უნდა განვლოთ ლამაზ ოჯახთან ერთად.

დიდი სიყვარულით და უღრმესი პატივისცემით

მამია ჭუმბურიძე,

საგვარეულო კავშირის თავმჯდომარე,
ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი.

დედოფლის საშობაო მიმართვა

გაერთიანებული სამეფოს დედოფალმა ელისაბედ მეორემ ტრადიციულად ერს საშობაოდ მიმართა. მიმართვაში მან იმ სირთულეებზე, ისაუბრა, რომელსაც მსოფლიო კორონავირუსის პანდემიის დროს წააწყდა. დედოფალმა აღნიშნა, რომ ისინი, ვინც ამ დღესასწაულს ლოკდაუნის გამო თავიანთი ოჯახების წევრების გარეშე აღნიშნავენ, მარტონი არ არიან.

დედოფალი და მისი მეუღლე, ედინბურგის ჰერცოგი წელს შობას უინძორის სასახლეში ოჯახისგან მოშორებით აღნიშნავენ. ამიტომ დედოფალმა საშობაო მიმართვა უინძორიდან გაავრცელა.

„რა გასაკვირიც არ უნდა იყოს, წელიწადმა, რომელმაც ადამიანები ერთმანეთს დააშორა, სინამდვილეში ერთმანეთს დააახლოვა. დიდ ბრიტანეთში, ისევე როგორც მთლ მსოფლიოში ადამიანებმა ღირსებით მიიღეს მათთვის გაგზავნილი გამოწვევა და ვამაყობ, რომ შეძრული ვარ ამ მშვიდი სულის სიმტკიცით“, – აღნიშნა ელისაბედ მეორემ.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

პრემია „საბას“ გამარჯვებულები

ლიტერატურული პრემია „საბა“ წლის საუკეთესო რომანის ნომინაციაში ჟიურიმ ბესო სოლომანაშვილის **„ამბავი ძველი დახვრეტილებისა და ამბავი ახალი დასახვრეტებისა“**.

რომანში მოთხრობილია ინტერნეტით დაკავშირებულ ადამიანებზე, ადამიანურ დილემებზე, ყველაზე მშვენიერი ქალაქის ამბები.

დანარჩენი ნომინაციები კი ასე გადანაწილდა:

წლის საუკეთესო ლიტერატურული დებიუტი – მაია ცირამუა – „მშვიდობით, ძია გერშვინ“;

წლის საუკეთესო ლიტერატურული პიესა – ალექს ჩიღვინაძე – „მარია რევია“ წლის საუკეთესო;

ლიტერატურული კრიტიკა – რამაზ ჭილაია – „პოეტიკური ჩანაწერები“;

წლის საუკეთესო ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა – შორენა ლებანიძე – „თუ საჭიროა, გათქმევინებთ“;

პრემია ქართულ ლიტერატურაში განსაკუთრებული წვლილისთვის – **ბათუ დანელია;**

წლის საუკეთესო ქართული თარგმანი – ელზა ახვლედიანი – მიგელ დე სერვანტესის „ალჟირელ მეკობრეთა ტყვე“;

წლის საუკეთესო პროზაული კრებული – მამუკა დოლიძე – „გასეირნება დროთა სივრცეში“;

წლის საუკეთესო პოეტური კრებული – ტარიელ ჭანტურია – „სიყვარულის შავი ყუთი 3“; **ბესიკ ხარანაული** – „დიდი სმა“.

ყოველწლიური ლიტერატურული კონკურსი „საბა“ თიბისი ბანკმა 2003 წელს დააფუძნა.

ანიმაციური ფესტივალი მესამედ

თბილისის საერთაშორისო ანიმაციური ფესტივალი მესამედ ტარდება. ფილმების ონლაინჩვენება გუშინ გაიხსნა და 29 დეკემბერს დაიხურება. ეროვნული კინოცენტრის ინფორმაციით, ფესტივალი მიზნად ისახავს თანამედროვე ანიმაციური ხელოვნების და მასთან დაკავშირებული აუდიო-ვიზუალური ხელოვნების სხვა ფორმების საერთაშორისო და ადგილობრივი მიღწევების წარმოჩენას, ამ უნიკალური სახელოვნებო დარგის პოპულარიზაციას და საქართველოში მისი განვითარების ხელშეწყობას.

ორგანიზატორი – ა(ა)იპ „ანიმალაბი“ – ორგანიზაციის მისიაა ანიმაციის ხელოვნებისა და კრეატიული ინდუსტრიის ამ დარგის განვითარების ხელშეწყობა ახალგაზრდების ფართო აუდიტორიაზე მიმართული კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტების განხორციელების გზით.

წელს ფესტივალზე წარმოდგენილი იყო 2045 ფილმი, 85 ქვეყნიდან. მათ შორის შეირჩა 170 ფილმი 54 ქვეყნიდან. ეს არის მსოფლიო მასშტაბით ბოლო 2 წელიწადში შექმნილი უახლესი ანიმაციური ფილმები, რომელთა ნახვის შესაძლებლობა მაყურებელს წინასაახალწლო პერიოდში, ფესტივალის 4 დღის განმავლობაში ექნება.

ფილმები გაერთიანებულია საკონკურსო და თემატურ პროგრამებში. ესენია:

საერთაშორისო ფილმების საკონკურსო პროგრამა;
საყმაწვილო ფილმების პროგრამა (საკონკურსო);
საბავშვო ფილმების პროგრამა (საკონკურსო);
დოკუმენტური ანიმაციური ფილმების პროგრამა;
სპეციალური პროგრამა „იდენტობა“ (საკონკურსო);
ერიალების პროგრამა;
მუსიკალური ანიმაციის პროგრამა;
პროგრამა „ანიმაცია და ხელოვნება“;
პროგრამა „უფროსების ღიმილი“ (Adult's Smile);
სტუდენტური ფილმების საკონკურსო პროგრამა;
ჰორორისა და ფენტეზის სექცია;
სექცია „მეხსიერება“;
სექცია „მწვანე ხედვა“;
სექცია „ექსპერიმენტული ხედვა“.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 30 დეკემბერს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.2699; ევრო - 3.9870;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.4340;
100 რუბლი - 4.4255; თურქული ლირა - 0.4333;
აზერბაიჯანული მანათი - 1.9238;
1000 სომხური დრამი - 6.2505.

ამინდი 28 დეკემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-3,	დღე	+12
მთიანი რაიონები -	ღამე	-5,	დღე	+12
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+5,	დღე	+19
მთიანი რაიონები -	ღამე	-3,	დღე	+16
თბილისი:	ღამე	0,	დღე	+10

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge